ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba




„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ დროული და საჭირო პროექტია

გვ.5




ხუთშაბათი, 17 მარტი, 2011 №64 (5445) ფასი: 30 თეთრი

# რისთვის ემზადება გიგა ბოკერია



გვ.2



## ოპოზიცია რევოლუციებს არ აწყობს

## სააკაშვილის გამო ისრაელში ქართველებს პრობლემები ექმნებათ




გვ.3

ეროვნული საბჭო ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვს



გვ.4

## საქართველოში დედათა სიკვდილიანობა გაიზარდა



## საქართველოში ბავშვები შიმშილით იღუპებიან

სააკაშვილი 2913 წლამდე თუ დავტოვეთ, საქართველოსგან არაფერი დარჩება

გვ.6



## ლეიბორისტები ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვენ

გვ.4

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

გვ.3

## სომხებმა საგარეო ვალი დაგვითვალეს

## რუსეთი შეიძლება კომპრომისებზე წამოვიდეს

გვ.7



ISSN 1987-9385

8 რეზო ჩხეიძე ჩივის

9 „ინტერი“ ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძვის

10 იაპონიის ტრაგედიას აქცია-საღამო მიეძღვნება

9 აკაკი გოგიამ საქართველოს უარი შემოუთვალა

# რისთვის ემზადება გიგა ბოკერია

## ოპოზიცია რევოლუციებს არ აწყობს

შორენა კოწოწაშვილი



**რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი არ იზიარებს იმ ოპოზიციონერების პოზიციას, ვინც ფიქრობს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხება მაშინ მოხდება, როდესაც შიდასახელისუფლო რღვევა გაძლიერდება და რეჟიმის შიგნით განხეთქილება მოხდება.**

**— როცა ქვეყანაში კრიზისია და ხელისუფლება ძველებურად ვეღარ მართავს, ბუნებრივია, თვითონ ხელისუფლების შიგნითაც რაღაც პროცესები იწყება. ეს სხვა საქმეა და თანმდევი მოვლენაა. თუმცა, რა და როგორ იქნება, ამაზე ლაპარაკი რთულია. რაც შეეხება იმას, მიდის თუ არა ხელისუფლების შიგნით რღვევის პროცესი, ამაზე დღეს საუბარი რთულია. ეს არის ავტორიტარული ტიპის რეჟიმი, სადაც გადაწყვეტილებებს 4-5 კაცი იღებს. დანარჩენი პრაქტიკულად ძალაუფლების გარეშეა. დაპირისპირებები და გარკვეული აზრთა უთანხმოება რომ არის, ეს აშკარად ჩანს, — აცხადებს დავით ზურაბიშვილი.**

**რამდენად არის ხელისუფლება წინასაარჩევნო რეჟიმში და ბოკერიას გარდა, ვინ ემზადება ჩანაცვლების სცენარისთვის? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს დავით ზურაბიშვილთან.**

***— ბატონო დავით, რას იტყვით ბოლო დროს რევოლუციასთან დაკავშირებით გააქტიურებულ განცხადებებზე. არის რესურსი, რომ ქვეყანაში რევოლუცია მოხდეს?***

— საერთოდ, როოცა ასეთ განცხადებებს აკეთებ, ყველაფერი გათვლილი უნდა გქონდეს. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბუნებრივია, არის ასეთი რადიკალური განწყობა საზოგადოებაში, სოციალური მდგომარეობა ძალიან მძიმეა. პრაქტიკულად ხელისუფლების პოზიცია ისეთია, რომ ვერანაირად ვერ ჭრის იმ პრობლემებს, რაც ხალხის წინაშე დგას და ისევ ძველებურად აგრძელებს. მათი პოლიტიკა არის ერთადერთი — რაც შეიძლება მეტი ამოქაჩონ ხალხისაგან. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, აძლიერებს ხელისუფლებას, რომელიც ჯერჯერობით არანაირ დათმობაზე არ მიდის. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ძალის ამოცანა ალბათ უფრო ის არის, რომ როგორც იტყვიან, დროზე ადრე არ გაისროლოს. ანუ ისე არ გამოვიდეს, რომ რაღაც-რაღაცებზე დიდი მოწოდებების მერე ვერაფერი ვერ გააკეთა და კიდევ ჩაიჩუტოს ის ენთუზიაზმი, რომელიც არის.

***— რამდენად აქვს რევოლუციის ორგანიზების რესურსი სახალხო კრებას?***

— ვერ გეტყვით, ვის რა რესურსი აქვს. საერთოდ, რევოლუციებს და ასეთ რადიკალურ განწყობებს თავისი შედეგი აქვს. მე მგონი, საქართველოში არ ყოფილა რაღაც საპროტესტო აქცია, მონაწილეობა რომ არ მიმელო. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ რევოლუციებს საერთოდ ოპოზიცია არ აკეთებს, აკეთებს ხელისუფლება, მისი პოლიტიკა და ხალხის უკმაყოფილება. პოლიტიკური შემადგენელი, რა თქმა უნდა, მერე წინა პლანზე გამოდის იმიტომ, რომ მის გარეშე არ წყდება, მაგრამ თავისთავად, ასეთი აფეთქებები ხდება სწორედ მოსახლეობაში დაგროვილი უკმაყოფილების ხარჯზე. რამდენიც არ უნდა იძახოს რევოლუციაზე, რევოლუცია ძახილით არ კეთდება. ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს. კარგი პოლიტიკოსი ის არის, რომელიც რეალობას გრძნობს და ხედავს. თუ ვერ ხედავს და გონია, რომ 100 ათასი კაცი მოუვა აქციაზე და მერე 5 ათასიც არ მოუვა, ეს დიდი მინუსია.

***— კეთდება განცხადებები, რომ დღეს რევოლუცია ხელისუფლებას აწყობს, რადგანაც იტყვის, ხალხი ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებით გამოვიდა და ძალა ამიტომ გამოვიყენეო.***

— ხელისუფლების შიგნით მართლაც არის რაღაც ჯგუფი, რომელიც სწორედ ასე ფიქრობს. საარჩევნო გარემოს კუთხით რვა ოპოზიციურ პარტიასთან რომ არის მოლაპარაკება, მოდი, აქ არაფერი დავუთმოთ, ხალხი ამათ ზურგს შეაქცევს, იტყვიან, რომ კიდევ ვერაფერი ვერ გააკეთეს. რადიკალური ნაწილი რომ გაძლიერდება, მერე მათთან დაპირისპირებაში იგივე დასავლეთი მხარს ჩვენ დაგვიჭერს და მერე მიტინგსაც დავარბევთ და რასაც გვინდა, იმას ვიზამთ და ხელისუფლებაშიც ვიქნებით. კი, ეს მიდგომა არსებობს ხელისუფლების ერთ ნაწილში. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან არასწორი და ძალიან სწორი მიდგომა და ეს ასე არ იქნება.

***— თქვენი აზრით, რა სცენარიც არ უნდა შეიმუშავოს ხელისუფლებამ, სააკაშვილს ხელისუფლების სათავეში დარჩენა გაუჭირდება?***

— სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენა, გამორიცხულია.

***— პუტინის მსგავსად პრემიერის რანგში მის მოსვლასაც გამორიცხავთ?***

— ესეც აბსოლუტურად გამორიცხული მგონია, ძალიან მარტივი მიზეზის გამო. ასეთი ტიპის ხელისუფლებები საგარეო მხარდაჭერის გარეშე ვერ არსებობენ. ან საერთოდ ფეხზე უნდა ეკიდოს ყველას, არანაირ ყურადღებას არ უნდა აქცევდნენ გარედან და მთლიანად შიდა რესურსზე უნდა იყოს მინდობილი, ან უნდა ჰქონდეს ძალიან ძლიერი მხარდაჭერა უცხოეთიდან. ჩვენ არ დაგვავიწყდეს, რომ რუსეთის მეზობელი ვართ. თან რუსეთს აქვს თავისი ინტერესები, თან სააკაშვილის მიმართ უკვე პიროვნულ დონეზეა უარყოფითი დამოკიდებულება და აქ პრაქტიკულად მორიგება გამორიცხულია. ასეთი რეჟიმი, როგორიც არის სააკაშვილის რეჟიმი, ამერიკის და ევროპის მხარდაჭერის გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებს. აქ იგულისხმება როგორც ფინანსური მხარდაჭერა, ისე სამხედრო-პოლიტიკური. როდესაც დასავლეთის პოლიტიკა არის ისეთი, რომ იცვლება ვითარება და მეტი დემოკრატიზაციაა საჭირო და არასწორია ვთქვათ, აქცენტის გაკეთება ამერიკისადმი ერთგული ავტორიტარული რეჟიმების ლიდერებისადმი, აი, ამ კონტექსტში სააკაშვილის მდგომარეობა საკმაოდ რთულია. იმიტომ, რომ რამდენადაც ჩემთვის ცნობილია და დღესდღეობით მათი შეხედულება საქართველოზე ასეთია, რომ თვითონ პიროვნულად სააკაშვილი არ უნდა გახდეს არც პრემიერი, არც პრეზიდენტი და იგი უნდა წავიდეს. მის ნაცვლად ვინ იქნება, ეს მეორე საკითხია. მაგრამ სააკაშვილი რომ პერსონალურად არის დამამუხრუჭებელი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში იგივე რუსეთთან ურთიერთობაში და პლუს სხვა გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში, ეს უკვე არის გაცხადებული. ამიტომ, თუ ამის მიუხედავად მიხეილ სააკაშვილი მაინც შეეცდება მაინც დარჩეს ხელისუფლებაში, დღესდღეობით ის სწორედ ასე იქცევა, ყველანაირად ცდილობს, რომ ისევ თვითონ იყოს ხელისუფლებაში, ეს ქვეყნისთვის მხოლოდ ცუდ შედეგებს მოიტანს.

***— ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლებიდან ყველაზე მეტად გიგა ბოკერია აქტიურობს ჩანაცვლების სცენარის განსახორციელებლად.***

— ბოკერია შეიძლება აქტიურობს და ამ ჯგუფს მართაც აქვს თავისი ინტერესები, მაგრამ ბოკერია არ იქნება პირველი, ასე ვთქვათ, ის საჯარო ფიგურა, რომელიც პრეტენზიას განაცხადებს პრეზიდენტობაზე ან პრემიერ-მინისტრობაზე.

***— სხვა ლიდერებიდან ვინ აქტუიურობს ჩანაცვლების სცენარში? ვინ ცდილობს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებას პოსტსააკაშვილისეულ პერიოდში?***

— ბოკერია რომ ვერ იქნება ვერც საპრეზიდენტო და ვერც საპრემიერო კანდიდატი, ეს ფაქტია. ეს არის გამორიცხული. რაც შეეხება შიგნით სხვას რას აკეთებენ, არ ვიცი, რაც ვიცი, იმის თქმა არ მინდა, იმათ რამე არ მოუვიდეთ.

***— ზემოთ ოპოზიციური რვიანი ახსენეთ, რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციის იმ ნაწილს, ვინც ხელისუფლებასთან იმ იმედით დაჯდა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით შედეგიან მოლაპარაკებებს წარმართავს ხელისუფლებასთან? მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის იმედად დარჩა ოპოზიციური რვიანი?***

— საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე წარმოჩენა იმისა, სააკაშვილის რეჟიმი რამდენად არის წამსვლელი რეალურ დემოკრატიზაციაზე, არის ძალიან მნიშვნელოვანი. იმიტომ, რომ როგორც გითხარით, ჩვენ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მერეც და 2009 წელშიც, ის რომ სააკაშვილს ჰქონდა მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი ადმინისტრაციისაგან და ზოგადად დასავლეთისგან, ამ ფაქტორმაც ძალიან განაპირობა ის, რომ დღეს ამ სიტუაციაში ვართ. ეს რომ არ გვქონოდა, გარწმუნებთ, დღეს აბსოლუტურად სხვა ქვეყანაში ვიცხოვრებდით, არა იმაში, რომელშიც ვართ. ამიტომ რადგან დღეს იცვლება დასავლეთის პოლიტიკა, ძალიან მნიშვნელოვანია დაანახო, თუ მიაღწიე ამ მოლაპარაკების პრიცესში რაღაც რეალურ ცვლილებებს, ეს ძალიან კარგია. თუ, დავუშვათ, ხელისუფლება შეჯდება ვირზე და არ დათმობს, ყველა ძალიან კარგად დაინახავს, რომ ხელისუფლება არ თმობს და სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებაა ის ძალა, რომელსაც არ სურს ამ ქვეყანაში ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ ბევრი საქმიანობა ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი.

***— ოპოზიციურ რვიანს შეუძლია სააკაშვილს და მის გუნდს პოზიციები დაათმობინოს?***

— ახლა, როგორ არის, იცით? თავში აგურს ვერ ჩავარტყამთ, როგორც იტყვიან. დანარჩენი არის დამოკიდებული თვითონ სააკაშვილზე. ახლა, მაგალითად, ოპოზიციას წარდგენილი აქვს თავისი წინადადებები, რაზეც პრაქტიკულად ჯერჯერობით პასუხი არ არის.

***— შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონიდან გამომდინარე, რამდენად იკვეთება, რომ ხელისუფლება შემოდგომაზე ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს და ამ გზით შეეცდება პოზიციების გამყარებას? პენსიის 10 ლარით მომატებამ ზოგიერთში ეს განცდა გააჩინა.***

— არა მგონია, არჩევნებს არ დანიშნავს. რატომ უნდა დანიშნოს ახალი არჩევნები, ასეთ მორჩილ პარლამენტს სად იპოვის. მისთვის ეს არის იდეალური პარლამენტი. ამიტომ რად უნდა თავის ატკივება. ვფიქრობ, არჩევნების ხარჯები უბრალოდ არ აქვთ. ახლა სააკაშვილი გადასულია ფულის დაგროვების პროცესზე. რაც შეიძლება მეტი ფული ამოქაჩოს მოსახლეობიდან. 2012 წლისთვის შეეცდება 10 და 20 ლარით კიდევ ვილაცები იყიდოს. ამიტომ, ვადამდელი არჩევნები თითქმის გამორიცხული მგონია. ძალიან კრიზისული ვითარება უნდა იყოს, მართლაც რევოლუციური პროცესები, რომ აქ რაღაც მოხდეს. თვითონ სააკაშვილი ამაზე წამსვლელი არ არის.

***— სახალხო კრებამ ღიად განაცხადა, რომ აღდგომის შემდეგ რევოლუციური პროცესების მომსწრე ვიქნებით.***

— არ ვიცი, ვნახოთ. მე პირადად, წინასწარ დაანონსებულ რევოლუციებს ეჭვის თვალით ვუყურებ.

# ხელისუფლება რევოლუციისკენ გვიბიძგებს



— ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებში „რვიანის“ ფორმატის უშედეგობაზე უკვე თავად საარჩევნო გარემოზე მომუშავე ჯგუფის ოპოზიციონერ წევრებიც საუბრობენ, — ეს განცხადება „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა და წარმომადგენლობითი სახალხო კრების წევრმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

ბურჯანაძის თქმით, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ადრონიუს აუუბალისი გაკვირვებული დარჩა, როცა მოისმინა ე.წ. „რვიანის“ წარმომადგენლების განცხადებები საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების უტოპიურობის თაობაზე.

— გაკვირვებული დარჩა იმიტომ, რომ იგი ცივილიზებული ადამიანი და დემოკრატია, რომელიც ვერ ხვდება, რატომ მიდიხარ მოლაპარაკებაზე მაშინ, როცა კონსესუსის იმედი წინასწარ არ გაქვს, — განაცხადა ბურჯანაძემ და დასძინა, იმაზე, რომ ხელისუფლებასთან მოლაპარაკება შეუძლებელია, უკვე ქრისტიან-დემოკრატებმაც დაიწყეს ლაპარაკი.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი საშუალება მშვიდობიანი რევოლუციაა. სახალხო კრება არ აპირებს რამდენიმეთვიანი საპროტესტო აქციების გამართვას.

— ეს არ იქნება ტრადიციული აქციები. ჩვენ ვაპირებთ მოქმედებას, ხოლო შესაბამის სამოქმედო გეგმას მალე გამოვაცხადებთ, — აღნიშნა ბურჯანაძემ და დასძინა, რომ საქართველოში ხელისუფლების რევოლუციის გზით შეცვლა არავის სურს, თუმცა მმართველმა გუნდმა ხალხს ამის გაკეთებისაკენ თვითონ უბიძგა, რადგან ხელისუფლების შეცვლის ყველა დემოკრატიული ფანჯარა დაუხურა. „რევოლუციები უგუნური ხელისუფლებების ქმედებების გამო ხდება“, - განაცხადა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# იმედია, ეუთო დაგვიანებული „სასწრაფოს“ როლის შესრულებას აღარ გააგრძელებს



საქართველოს ლეიბორისტული პარტია ეუთოს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ საქართველოს უკეთესობისკენ შეცვლა ამ ორგანიზაციებზეა დიდწილად დამოკიდებული.

როგორც გუშინ ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარე და ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ, აუდრონიუს აჟუბალისსთან ოპოზიციის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ ნესტან კირთაძემ განცხადა, მან ეუთო-ს თავმჯდომარეს რეალური თანამშრომლობა შესთავაზა.

— ქართველ ხალხთან ერთად პრობლემები დაიძლევა მხოლოდ მსოფლიო დემოკრატიულ ინსტიტუტებთან ერთობლივი, რეალური თანამშრომლობითა და ძალისხმევით. იმედი გვაქვს,

რომ ეუთო არ გააგრძელებს „დაგვიანებულ სასწრაფო დახმარების“ როლის შესრულებას საქართველოში, როდესაც ამ ორგანიზაციის თუნდაც კრიტიკული დასკვნები და რეკომენდაციები გავლენას ვერ ახდენენ და ვერ ცვლიან პოლიტიკურ რეალობას ქვეყანაში, — განცხადა ნესტან კირთაძემ **მედიანიუსი**

# „ბადაგონი“ ყოფილი პარტნიორების წინააღმდეგ სასამართლოში ჩივილს აპირებს

ღვინის კომპანია „ბადაგონი“ ყოფილი პარტნიორებისათვის სასამართლოში ჩივილს აპირებს. როგორც კომპანიაში გუშინ გამართულ ბრიფინგზე აღინიშნა, ლაპარაკია პოლონეთის მოქალაქე ცოლ-ქმარ კრამაროვებზე, რომელიც „ბადაგონის“ ბრენდსა და სასაქონლო ნიშნებზე პრეტენზიას აცხადებს. კერძოდ, მათ ღვინის კომპანიებს დაუგზავნეს ინფორმაცია, თითქოს „ბადაგონი“ ევროკავშირის ქვეყნებში სავაჭრო ნიშნების გამოყენების უფლებას ყიდის. კომპანიაში აცხადებენ, რომ ამ დეზინფორმაციას თაღლითთა ჯგუფი შეგნებულად ავრცელებს, რაც ქართული ღვინის წინააღმდეგ მორიგი გამიზნული დარტყმაა.

როგორც „ბადაგონის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ლიზა ბაგრატიონმა განაცხადა, საკითხი პრინციპულად მნიშვნელოვანია, რის გამოც კომპანია უფლებას იტოვებს, ის სამართლებრივი გზით გადაჭრას.

„ბადაგონის“ წარმომადგენელთა ინფორმაციით, პოლონელი ცოლ-ქმარი თავის დროზე კომპანიასთან თანამშრომლობდა და მას პოლონეთში ქართული ღვინის დისტრიბუცია-რეალიზაციაში ეხმარებოდა.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სომხებმა საგარეო ვალი დაგვითვალეს

თეა მარხვაი ე

**საქართველო რომ ვალებშია ჩაფლული, ეს ყველამ იცის. ამის შესახებ ყველა ოპოზიციური პარტია ხმამაღლა მოთქვამს. ხელისუფლება საგარეო ვალთან დაკავშირებით, როგორც წესი, მოკრძალებულ კომენტარებს აკეთებს. ოპოზიცია კი ისეთ ციფრებს ასახელებს, კაცს შეიძლება გული გაუსკდეს.**

საგარეო ვალთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია, როგორც ჩანს, არავის არა აქვს. რადგანაც ყველა პარტიას საგარეო ვალთან დაკავშირებით განსხვავებული ინფორმაცია აქვს.

ჩვენს მეზობელ სომხებს ჩვენი ამბები, როგორც წესი, ძალიან აინტერესებთ. მათი ინტერესის მიღმა არც ჩვენი საგარეო ვალი დარჩენილა. საგაერო ვალი სომხებსაც აქვთ, მაგრამ მაინც ჩვენი დაითვალეს. ეს გასაკვირი არცაა, რადგანაც საქართველოს სომხების ვალიც აქვს.

ისე, რა მაგის პასუხია და სომხური მხრიდან ვალზე საუბარი საქართველოს ცუდად აქვს დაცდილი.

1992 წელს აფხაზეთში ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სომხური ვალი გახდა. იმ პერიოდში სომხეთში ტვირთები რუსეთიდან საქართველოს გავლით რკინიგზით შედიოდა.

თბილისის ომის შემდეგ საქართველოში ძალიან რთული ვითარება იყო. სამეგრელოს გამსახურდიას მომხრეები აკონტროლებდნენ. ამ ტერიტორიაზე ხშირად იძარცვებოდა მატარებლები. ბანდფორმირებებს სომხებისთვის განკუთვნილი ტვირთი მიჰქონდათ ხოლმე.

ამ ძარცვა-ძარცვაში ერევნის კაი ბლომად ვალი დაგვედო. ერევანს ვალი ვისთვის შეურჩენია, რომ ჩვენთვის შეერჩინათ. დღეში ათჯერ მაინც გვირეკავდნენ ჩვენი ვალი დააბრუნეთო. საწყალ საქართველოს სად ჰქონდა მაშინ სომხეთის ვალის გასასტუმრებელი ფული.

ამას სომხებიც მიხვდნენ და ერთ დღეს შემოგვითვალეს, რკინიგზის დასაცავად ჩვენს სპეცრაზმს გამოგიგზავნითო. ეს ჩვენებურებმა იუკადრისეს. შევარდნაძემ საკუთარი ძალებით გადაწყვიტა სარკინიგზო მაგისტრალის დაცვა. სწორედ ამ მიზეზით მოხდა 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში ჯარის შეყვანა. მერე როგორც განვითარდა მოვლენები, ყველას კარგად მოეხსენება.

როგორც სომხური მედია იუწყება საქართველოს სომხეთის ვალი დღესაც აქვს. საუბარი ახალ დავალიანებაზეა. სომხური საინფორმაციო სააგენტო „ნიუს.ამ"-ის ინფორმაციით, 2011 წლის მარტის მონაცემებით,



საქართველოს ვალი სომხეთის მიმართ 16 მლნ 636 ათას აშშ დოლარს შეადგენს.

იმავე სააგენტომ საქართველოს საგარეო ვალიც დაითვალა. სომხური სააგენტოს ინფორმაციით, მთლიანობაში საქართველოს საგარეო ვალი 4 მილიარდ 21 მილიონ 210 ათასი აშშ დოლარია.

სომხური საინფორმაციო სააგენტო, სხვადასხვა კრედიტორი ქვეყნების მიმართ საქართველოს ვალების ნუსხას აქვეყნებს.

სააგენტოს ინფორმაციით, კრედიტორ ქვეყნებს შორის არიან: ავსტრია — 488 ათასი აშშ დოლარი, აზერბაიჯანი — 13 მილიონ 959 ათასი აშშ დოლარი, თურქეთი — 26 მლნ 673 ათასი აშშ დოლარი, თურქმენეთი — 211 ათასი აშშ დოლარი, ირანი — 10 მილიონ 918 ათასი აშშ დოლარი, რუსეთი — 115 მილიონ 99 ათასი აშშ დოლარი, უზბეკეთი — 348 ათასი აშშ დოლარი, უკრაინა — 318 ათასი აშშ დოლარი, ყაზახეთი — 27 მილიონ 774 ათასი დოლარი, ჩინეთი — 4 მილიონ 562 ათასი აშშ დოლარი, გერმანია — 237 მილიონ 502 ათასი აშშ დოლარი, იაპონია — 57 მილიონ 268 ათასი აშშ დოლარი, ქუვეითი — 26 მილიონ 164 ათასი აშშ დოლარი, ნიდერლანდები — 8 მილიონ 187 ათასი აშშ დოლარი, აშშ — 35 მილიონ 264 ათასი აშშ დოლარი, საფრანგეთი — 6 მილიონ 465 ათასი აშშ დოლარი.

როგორც სომხური სააგენტო იუწყება, საქართველოს, აღნიშნული ქვეყნების გარდა, საერთაშორისო ინსტიტუტების ვალიც აქვს, რომელიც საერთო ჯამში 2 მილიარდ 929 მილიონ 850 ათას აშშ დოლარს შეადგენს. კერძოდ, საქართველოს ვალი მსოფლიო ბანკის მიმართ 1 მილიარდ 210 მილიონ 223 ათასი აშშ დოლარია, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკისგან აღებული ვალი 192 მილიონ 137 ათას აშშ დოლარს შეადგენს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ ვალი 1 მილიარდ 63 მილიონ 618 ათასი აშშ დოლარია, ევროკავშირის ვალი 18 მილიონ 609 ათასი აშშ დოლარია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვალი 50 მილიონ 314 ათას აშშ დოლარს შეადგენს, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის ვალი 23 მილიონ 368 ათასი აშშ დოლარია, აზიის განვითარების ბანკის 334 მილიონ 144 ათასი აშშ დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკის კი 37 მილიონ 437 ათასი აშშ დოლარი.

# სააკაშვილის გამო ისრაელში ქართველებს პრობლემები ექმნებათ

## ეროვნული საბჭო ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვს

თეა მარხვაი ე





**ებრაელი ბიზნესმენების დაკავებასთან დაკავშირებული სკანდალი ისევ გრძელდება. ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს თემა ისევ აქტუალური გახდა.**

**ამ კვირაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ისრაელში უნდა ჩასულიყო ოფიციალური ვიზიტით. ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მას დაურეკეს და უთხრეს, რომ ეს ვიზიტი შეეჩერებინა.**

ალბათ არ გაგიკვირდებათ, რომ ხელისუფლებამ ეს ამბავი მიაჩუმათა. ვიზიტის ჩაშლის შესახებ ინფორმაცია ქართველმა საზოგადოებას ებრაული საინფორმაციო საშუალებებიდან შეიტყო.

ჩვენმა ხელისუფლებამ ეს ცნობა, როგორც იქნა, დაადასტურა. და თანაც ისეთი სახით, თითქოს აქ არაფერი მომხდარა. თითქოსდა და პარლამენტის თავმჯდომარისთვის ვიზიტის ჩაშლა ჩვეულებრივი ამბავი იყოს.

ამ ვიზიტის ჩაშლის შემდეგ ოპოზიცია ისევ დაუბრუნდა ებრაელი ბიზნესმენების საკითხს. მათი მტკიცებით, ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში პრემიერმა ნიკა გილაურმა ჩამოიტყუა.

გილაურის მიერ დაწერილი წერილის თაობაზე წინა კვირაში ავტორიტეტული გამოცემა „ბლუმბერგ ბიზნესვიკიც" საუბრობდა.

გილაურის ამ ვერაგობით ოპოზიცია სერიოზულად არის აღშფოთებული. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს წერილი გილაურს თავისი ნებით არ დაუწერია. ვარაუდობენ, რომ ეს წერილი პრემიერმა პრეზიდენტის მითითებით დაწერა.

ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლება გუშინ ეროვნულმა საბჭომ კიდევ ერთხელ მოითხოვა. ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო ბრიფინგი გამართეს.

— ჩვენ მზადა ვართ, ებრაელ ბიზნესმენებს თავდებში დავუდგეთ, — განაცხადეს კობა დავითაშვილმა და ზვიად ძიძიგურმა.

— „ეროვნული საბჭო" მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ებრაელი ბიზნესმენები — რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი. ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში დაკავებას მოჰყვა ისრაელ-საქართველოს შორის ურთიერთობების სერიოზული დაძაბვა. ისრაელის ქნესეთის კანცელარიამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ამ მიზეზით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის ისრაელში დაგეგმილი ვიზიტი გადაიდო, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

ის არ გამორიცხავს, რომ საქართველოს ახლო მომავალში შეიძლება ამერიკასთანაც გაუფუჭდეს ურთიერთობა.

— გამორიცხული არაა, ისრაელთან ურთიერთობების გაფუჭება შესაძლოა, ამერიკა-საქართველოს შორის ურთიერთობებზეც ირიბად აისახოს. ეს კი საქართველოსთვის სერიოზულ დიპლომატიურ საფრთხეს წარმოადგენს, — მიიჩნევს ძიძიგური.

ეროვნული საბჭოს ლიდერი ამბობს, რომ ჩვენი ხელისუფლების ქმედებამ უკვე დააზარალა საქართველოს მოქალაქეები.

— შექმნილი სიტუაციით უკვე დაზარალდნენ საქართველოს მოქალაქეები ისრაელში, რომლებსაც გაურკვეველი მიზეზების გამო, ასახლებენ ისრაელიდან და ასევე, საქართველოს მოქალაქეებს ისრაელის ვიზების მისაღებად პრობლემები ექმნებათ, — განაცხადა ძიძიგურმა.

კობა დავითაშვილის თქმით კი ფუქსისა და ფრენკელის საქმე პირდაპირი სახელმწიფო რეკეტის შემთხვევაა.

— სამარცხვინოა, რომ მათი მოწვევა და შემოტყუება საქართველოში მოხდა პრემიერ-მინისტრის მიერ. როდესაც პრემიერ-მინისტრი ოპერმუშაკის როლს ასრულებს, ეს ქვეყნის სირცხვილია, — აღნიშნა კობა დავითაშვილმა.

საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისრაელთან დაძაბულობა გაგრძელდება. არაა გამორიცხული, ვითარება კიდევ უფრო გამწვავდეს.

ებრაული მედიის ცნობით, ბაქრაძისთვის ვიზიტის ჩაშლა ისრაელის პარლამენტმა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და ყველა წამყვან პოლიტიკურ პარტიასთან შეათანხმა. ამ ვიზიტის ჩაშლას ყველა დაეთანხმა. ბაქრაძე ისრაელში გუშინ უნდა ჩასულიყო.

ებრაელი ბიზნესმენები საქართველოში გასული წლის ოქტომბერში დააკავეს. მათ ბრალად მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზება ედებათ. უცხოური მედია და ჩვენი ოპოზიცია დაკავებულების მსგავსად სხვა ვერსიაზე საუბრობენ.

მათი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ფუქსი 100 მილიონის გამო დააკავა. როგორც ირკვევა, საქართველომ ფუქსს 100 მილიონი უნდა გადაუხადოს. ეს დავალიანება ჩვენს ქვეყანას მის მიმართ 1992 წლიდან დაუგროვდა.

როგორც დაკავებულის ადვოკატები ამბობენ, ხელისუფლებამ ფუქსს უკვე შესთავაზა, უარი თქვას ას მილიონზე. ფუქსი უარის თქმას არ აპირებს.

ოპოზიციის მტკიცებით, თუ დაკავებულების გათავისუფლება არ მოხდა, ისრაელს და საქართველოს შორის ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. ხელისუფლება ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ხმაურიანი განცხადება გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა. ის ამტკიცებდა, რომ ბიზნესმენების დაკავება საქართველო-ისრაელის მეგობრობას პრობლემებს ვერ შეუქმნიდა. ეს განცხადება სააკაშვილმა დაახლოებით ერთი თვის წინ გააკეთა.

წინა კვირაში კი ბაქრაძეს პირდაპირ შემოუთვალეს, ჯერ ნუ ესტუმრები ისრაელსო. თავისმა კოლეგამ ჩვენს სპიკერს ისიც განუმარტა, რომ ვიზიტი ებრაელი ბიზნესმენების დაკავების გამო გადაუდო.



# ირაკლი ალასანია გურჯაანის მოსახლეობას შეხვდა

„თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენლებმა გურჯაანის თეატრში მოსახლეობას შეხვდნენ. პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გურჯაანელებს პარტიის სოფლის მეურნეობის პროგრამა „გავაძლიეროთ სოფელი დავძლიოთ სიღარიბე" გააცნო.

— ჩვენ ვემზადებით რევოლუციური არჩევნებისთვის, მოსახლეობას ვთავაზობთ რეალურ ალტერნტივას, როგორ ვაპირებთ უმუშევრობის, სოფლის მეურნეობისა და სოციალური პრობლემების მოგვარებას.სწორედ ამას ამესახურება „თავისუფალი დემოკრატების" ყოველდღიური შეხვედრები ამომრჩეველთან რეგიონებსა და დედაქალაქში, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ. **მედიანიუსი**

# ცხინვალელი ახალგაზრდები კომუნისტურ პარტიაში აქტიურად წევრიანდებიან

ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის პროგრამა და წესდება სულ უფრო მიმზიდველი ხდება იქ მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, რომლებიც კომუნისტურ პარტიაში სულ უფრო ხშირად წევრიანდებიან, — წერს სააგენტო „რესი" ინფორმაციით, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის იულია ტეხოვას განცხადებით, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობაა, ასევე რიგითი ადამიანების დაცვა, რაც ახალგაზრდებისათვის მისაბაძი მაგალითია. მისი თქმით, კომუნისტური პარტიის პროგრამა და წესდება ე.წ. სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ახალგაზრდობას ხიბლავს, რადგან აღნიშნულ პროგრამაში სოციალური სამართლიანობის იდეაა ჩადებული. მითუმეტეს ახლა, როდესაც ახალგაზრდები ხედავენ კაპიტალიზმის მიერ მოტანილ უსამართლობას.

იულია ტეხოვას თქმით, საბჭოთა სისტემა გამოირჩეოდა თავისი სამართლიანობით, რადგან ის მოქალაქეების ინტერესებს იცავდა, ხოლო საბჭოთა პერიოდში აღზრდის სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

სააგენტო „რესის" ინფორმაციით, გასულ წელს ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომუნისტურ პარტიაში, მხოლოდ ცხინვალში, 72 ახალგაზრდა გაწევრიანდა. **მედიანიუსი**

# მოქალაქეებს ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე დარეგისტრირება მოუწევთ

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მოქალაქეებს ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე დარეგისტრირებისკენ მოუწოდებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეები შესაძლოა, იურიდიული მისამართიდან მოიხსნან, რაც პირადობის მოწმობების გაუქმებას გამოიწვევს.

როგორც ბრიფინგზე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი გაბრიელაშვილმა განაცხადა, ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რა მისამართზე იმყოფება მისი მოქალაქე და სად მოძებნოს.

მოქალაქე, რომელიც ექვს თვეზე მეტია, ახალ მისამართზე ცხოვრობს ვალდებულია, ამ მისამართზე დარეგისტრირდეს, იმის მიუხედავად, საცხოვრებელი მისი საკუთრებაა თუ არა.

— მესაკუთრეებს ხშირად ეშინიათ ნათესავისთვის ან მეგობრისთვის ნებართვის მიცემა, რომ ბინაში დარეგისტრირდეს, ვინაიდან ჰგონიათ, რომ ეს ქონებრივ უფლებებს წარმოშობს. ქონებრივ უფლებებს არ წარმოშობს მისამართზე რეგისტრაცია. ასე რომ, თუ სადმე ნაქირავებ ბინაში ვინმე ცხოვრობს, ეს მესაკუთრეებს პრობლემას საკუთრებაზე არ შეუქმნის. მესაკუთრეს არ ეკისრება პირდაპირი ვალდებულება, კანონით ვინმე დაარეგისტრიროს, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ გადასახადს არიდებს თავს. ადამიანი თუ ცხოვრობს, წყალს მოიხმარს, შესაბამისად, გადასახადი უნდა გადაიხადოს. რეგისტრაცია ნიშნავს, უბრალოდ, მისამართის დაფიქსირებას და მატერიალური შედეგი, რაც ამას უკავშირდება, კომუნალური გადასახადებია, — განაცხადა გიორგი გაბრიელაშვილმა.

მისივე განმარტებით, მოქალაქეებს ახალ ფაქტობრივ მისამართზე გადასვლისთანავე შეუძლიათ დარეგისტრირება; მთავარია, მესაკუთრის თანხმობა არსებობდეს. ახალ მისმართზე დარეგისტრირების შემდეგ ახალი პირადობის მოწმობის აღება უფასოა.

— სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, სად ცხოვრობთ. ელემენტარულად საგადასახადოდან უნდა მოგივიდეთ შეტყობინება, არჩევნებზე, სასამართლოზე. სად მოგძებნით, სად გეკონტაქტოთ, სად გამოგიგზავნოთ წერილი. ლეგიტიმურია მოთხოვნა, რომ სადაც ცხოვრობ შეიძლება, შენი საკუთრება არ არის, მაგრამ იქ გაიარე რეგისტრაცია და საკუთრებაში არავინ შეგეცილება, — განაცხადა გაბრიელაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში დედათა სიკვდილიანობა გაიზარდა

ნანა მიშელაშვილი

**ქვეყანაში ნაადრევი სიკვდილიანობის რიცხვის შემცირებაზე პარლამენტში მსჯელობდნენ. ჯანდაცვის ექსპერტების აზრით, ქვეყანაში, მათ შორის დედათა სიკვდილიანობის მიზეზებში მნიშვნელოვანი წილი აქვს ჰიპერტონიას — მაღალ არტერიულ წნევას.**



გუშინ, „ქრისტიან-დემოკრატები“ პარლამენტში სამედიცინო სფეროს ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ ფრაქციასთან გამართულ შეხვედრაზე ექსპერტმა დალი ტრაპაიძემ განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობის სიკვდილიანობის მიზეზებში პირველ ადგილზე ონკოლოგიური დაავადებებია, შემდეგ — გარეგანი ფაქტორებით გამოწვეული მიზეზები, მათ შორის სუიციდი.

ექსპერტის აზრით, სუიციდის შემთხვევებმა ქვეყანაში იმატა, თუმცა, ამის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. მესამე მიზეზად ექსპერტმა მაღალი არტერიული წნევა დაასახელა.

დალი ტრაპაიძემ ხაზი გაუსვა, რომ არტერიული წნევა არის პრობლემა, რომლის დროულად გამოვლენის შემთხვევაში, ფატალური შედეგის თავიდან აცილება შესაძლებელია. ჯანდაცვის ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ შესაბამისი სკრინინგ პროგრამის ამუშავების შემთხვევაში, ქვეყანაში ნაადრევი სიკვდილიანობის რიცხვი მკვეთრად შემცირდება.

ჯანდაცვის ექსპერტებმა დედათა სიკვდიალიანობაზეც გაამახვილეს ყურადღება. მათი შეფასებით, დედათა სიკვდილიანობის მიზეზები მხოლოდ სამეანო არ არის და ხშირად, მიზეზი ისეთი დაავადებები ხდება, რასაც შესაძლოა გამოკვეთილი სიმპტომები არ ჰქონდეს, მათ შორის არტერიული ინსულტი.

ოპოზიციასთან შეხვედრის დროს, კრიტიკა გაისმა რეფერალურ პროგრამასთან დაკავშირებით. ამ პროგრამაზე დეპუტატებმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს და მთავრობის მისამართით კრიტიკაც არ დაიშურეს.

ოპოზიციონერი დეპუტატები რეფერალური პროგრამის არაეფექტურობაზე საუბრობენ. „ქრისტიან-დემოკრატები“ აღნიშნავენ, რომ ადამიანები სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი, რადგან ვერანაირ დახმარებას ვერ იღებენ რეფერალური პროგრამიდან, არადა, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მუდმივად ამტკიცებს, რომ ეს პროგრამა მოქმედებს.

უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის განცხადებით, აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით გაყინული და ყრუ კედელია, რადგან მათ არაერთმა მოქალაქემ მიმართა პრეტენზიით და მიუხედავად საჭიროებისა და მოთხოვნისა, რეფერალური პროგრამის ფარგლებში ვერანაირ დახმარებას ვერ იღებენ.

კიდევ ერთი საკითხი შეეხება ფორმა 100-ს, რომელიც ოპერაციის დასაფინანსებლად არის საჭირო. ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმა იმ „სიახლეზე“ ისაუბრა, რომელიც სავარაუდოდ, უკანასკნელ დღეებში დამკვიდრდა.

გიორგი ახვლედიანს ერთ-ერთმა მოქალაქემ შეატყობინა, რომ გართულებულია ფორმა 100-ის მიღების პროცედურა, რადგან ექიმები განუმარტავენ, რომ მათ ერთგვარი დირექტივა აქვთ ფორმა 100-ის გასაცემად პაციენტი სამი დღით საავადმყოფოში დააწვინონ.

გიორგი ახვლედიანი ხაზს უსვამს, რომ შესაძლოა, ადამიანი ტყუილად დაწვეს საავადმყოფოში და ოპერაციის დაფინანსება მაინც ვერ მიიღოს, ეს ადამიანი ასევე იძულებული იქნება, ამ სამი დღის საავადმყოფოში წოლის თანხაც კი გადაიხადოს.

თავად ჯანდაცვის ექსპერტები მედიკამენტების ხარისხთან დაკავშირებით საუბრობენ. ჯანდაცვის ექსპერტები, მედიკამენტების ხარისხის პრობლემასთან დაკავშირებით, „ქრისტიან-დემოკრატებს“ მთავრობასთან შუამავლობას სთხოვენ.

ჯანდაცვის საკითხებში ექსპერტმა თინათინ ტურძელაძემ ქვეყანაში სტანდარტების არარსებობის პრობლემებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სტანდარტების არსებობის გარეშე ნებისმიერი საკანონმდებლო რეგულაცია „ჰაერში მშენებლობას“ ნიშნავს. მისი თქმით, ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ პრობლემებს შორის მედიკამენტების ხელმისაწვდომობის პრობლემა უფრო თვალშისაცემია, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ხარისხი.

ჯანდაცვის ექსპერტებმა დეპუტატებს საკუთარი მოსაზრება სოფლის ექიმებთან დაკავშირებითაც გააცნეს. ისინი სოფლის ექიმებთან დაკავშირებით შექმნილ გაუგებარ და რთულ მდგომარეობაზე საუბრობენ.

ექსპერტების განცხადებით, თავის დროზე სოფლის ექიმებმა თავად გაარემონტეს ოთახები, ზოგმა საკუთარ სახლში, ზოგმა კი გამგეობის ან ამბულატორიის შენობაში. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ სიტუაციაში იმან მოიგო, ვინც კაბინეტი საკუთარ სახლში გაარემონტა, ხოლო ვინც სახელმწიფოს კუთვნილ შენობაში გაარემონტა, ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ იჯარის ფული აქვთ გადასახდელი.

შეხვედრაზე ითქვა, რომ სოფლის ექიმის ხელფასი თვეში დაახლოებით 450 ლარია, საიადანაც ისინი იჯარას და კომუნალურ გადასახადებს იხდიან.

# ცოტნე გამსახურდიას სასამართლო სხდომის ოქმი გაყალბებულია



ცოტნე გამსახურდიას ადვოკატების მტკიცებით, სასამართლო სხდომის ოქმი, რომლის საფუძველზეც ბრალდებულის სასჯელს კიდევ ხუთი წელი დაუმატეს, გაყალბებულია.

როგორც „მედიანიუსს“ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატმა მანანა კობახიძემ განუცხადა, სხდომის ოქმში საერთოდ არ არის დაფიქსრებული დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობით წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

— შეუძლებელია, ეს ტექნიკური ხარვეზი იყოს. ოქმი ვილაცამ მიზანმიმართულად გააყალბა, რაც სისიხლის სამართლის კოდექსით ისჯება. ოქმში ჩვენ მიერ წადგენილ მტკიცებულებები საერთოდ არ არის ნახსენები მაშინ, როცა მოსამართლემ გამოგვიცხადა, რომ ჩვენი შუამდგომლობები დააკმაყოფილა, — განაცხადა კობახიძემ და დასძინა, რომ იგი სასამართლო სხდომის ოქმს შესაბამის ინსტანციაში მიმდინარე კვირის პარასკევს გაასაჩივრებს.

— ამის შემდეგ კი გავასაჩივრებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელმაც გამსხხურდია დამნაშავედ სცნო. სააპელაციო სასამართლოში ჩვენი სარჩელი დაახლოებით მარტის თვის ბოლოს შევა, — განაცხადა კობახიძემ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ცოტნე გამსახურდიას 13 წლით, ორი თვით და 5 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გამსახურდიას წინა ბრალდების შესაბამისად, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა დარჩენილი და მოსამართლემ კიდევ 5 წელი დაუმატა.

ცნობისათვის: სასამართლო განიხილავდა ცოტნე გამსახურდიასთვის წაყენებულ ახალ, ქრთამის მიცემის ბრალდებას, რომელსაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 339 მუხლის II ნაწილი.

დაცვის მხარის ინფორმაციით, ცოტნე გამსახურდიამ, რომელიც მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, თითქოს ამავე დაწესებულების თანამშრომელს კორესპონდენციის გატანის სანაცვლოდ, 500 ლარის ოდენობის ქრთამი შესთავაზა.

ცოტნე გამსახურდია 2009 წლის 27 ოქტომბერს დააკავეს. დაკავების მოტივი იარალის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება და განზრახ მკვლელობის მცდელობა იყო. მაშინ მას 9,6 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

**მედიანიუსი**

# ლეიბორისტები ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვენ

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტული პარტია ებრაელი ბიზნესმენების მიმართ გამოკვეთილ სააკაშვილის ხელისუფლების პოლიტიკას აპროტესტებს და ხელისუფლებას ამ ბიზნესმენების გათავისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეებ ფრენკელი ფულის გამოძალვის მიზნით უკანონოდ არიან დაკავებული და ისინი საქართველოს ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაათავისუფლოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ პრესკონფერენცია გამართა და სპეციალური განცხადება გაავრცელა. კახა ძაგანიას თქმით, მიხეილ სააკაშვილმა ებრაელი ბიზნესმენების დაკავებით საქართველო-ისრაელის 26 საუკუნოვან მეგობრობას ჩრდილი მიაყენა. ამან ისრაელში სამართლიანად გამოიწვია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა პერსონა ნონგრატად გამოცხადება.

— ჩვენ მივმართავთ დემოკრატიული ქვეყნების ხელისუფლებებს, ისრაელის მსგავსად, მიხეილ სააკაშვილი და მისი ბანდა პერსონა ნონგრატად გამოაცხადონ და თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე მათი შესვლა არ დაუშვან, — განაცხადა კახა ძაგანიამ. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეებ ფრენკელი 2010 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალად ედებათ ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის მიცემა.

ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრებას ისრაელში საკმაოდ სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა. ამან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში გარკვეული ბზარი გააჩინა და ისრაელის ხელისუფლების რიგი ნაბიჯებიც მოჰყვა. მაგალითად, საელჩოს მხრიდან ფუნქციონირების შეჩერება და ა.შ.



ისრაელში თვლიან, რომ საქართველოში ყველაზე უფრო უარყოფითი დამოკიდებულება სწორედ ებრაული კაპიტალის მიმართ არის. სხვა ქვეყნების ინვესტიციებს კი ბოლომდე კარი აქვთ გახსნილი. ასეთად კი თურქული და ჰოლანდიური ინვესტუცია სახელდება.

# შალვა ნათელაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში შეხვედრებს მართავს



ლეიბორისტული პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის ვიზიტი ამერიკის შერთებულ შტატებში გრძელდება. შალვა ნათელაშვილს ვაშინგტონში დაგეგმილი აქვს შეხვედრები ამერიკის პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებთან.

როგორც „მედიანიუსს“ პარტიიდან აცნობეს, შალვა ნათელაშვილი ამერიკის პოლიტელიტას შეხვედრებისას დაარწმუნებს, რომ საქართველოში ხელისუფლების შეცვლაში მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა და ქვეყნის მომავალი მხოლოდ ქართველი ხალხის გადასაწყვეტია.

**მედიანიუსი**

# გალში აფხაზური ენისა და ისტორიის შესასწავლად სკოლა-ინტერნატი იხსნება

გალის რაიონში აფხაზური ენისა და ისტორიის შესასწავლად შესაძლოა, სკოლა-ინტერნატი გახსნან. როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება, ამის შესახებ გალის დე-ფაქტო ადმინისტრაციაში განაცხადეს.

სოხუმის რეჟიმის ინფორმაციით, გალის რაიონში აფხაზური და რუსული ენების მასწავლებლები არ ჰყოფნით, რაც ენობრივ ბარიერს ქმნის. ეს კი, თავის მხრივ, იმას განაპირობებს, რომ გალელი ახალგაზრდები უმაღლეს განათლებას აფხაზეთში ვერ იღებენ.

ამ პრობლემის გადასაჭრელად დე-ფაქტო ადმინისტრაცია გამოდის ინციატივით, რაიონში გაიხსნას სკოლა-ინტერნატი, სადაც სხვადასხვა სოფლის ბავშვები ისწავლიან.

აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის მდივნის მოადგილის დანიელ უბირიას მტკიცებით, გალის რაიონის მოსახლეობას აფხაზური ენისა და ისტორიის შესწავლის დიდი სურვილი აქვს.

— მათ ეს სურთ, რათა საზოგადოებაში ინტეგრირება მოახდინონ და ეს სასიხარულოა, — განაცხადა უბირიამ და დასძინა, რომ რაიონში სკოლა-ინტერნატის გახსნის იდეა სწორია.

**ინტერპრესნიუსი**

# დედაქალაქის გამგებლებს უფლებამოსილება ეზრდებათ

დედაქალაქის გამგებლებს უფლებამოსილება ეზრდებათ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „თბილისის შესახებ“ კანონში შედის.

კანონპროექტის მიხედვით, გამგებელს შესაძლებლობა ექნება, მოთხოვნის შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს თბილისის პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში. ასევე, გამგებელი პასუხისმგებელი იქნება რაიონისთვის თბილისის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებაზე. იმავდროულად დაევალება ინფორმაცია მოამზადოს ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესრულების შესახებ და თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს წარუდგინოს. კანონპროექტის ავტორი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვახტანგ ბალავაძეა და მისი განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება.

**ინტერპრესნიუსი**

# კობა სუბელიანმა ლიტვის დელეგაციას წეროვანში უმასპინძლა



ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი წეროვანში ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრს, ეუთოს თავმჯდომარეს აუდრონიუს აჟუბალისის შეხვდა. ლიტვის დელეგაციამ დევნილთა ჩასახლების ადგილი დაათვალიერა, წეროვანის სკოლას ესტუმრა და დევნილთა საცხოვრებელ პირობებს გაეცნო.

აჟუბალისი დაინტერესდა დევნილთა დასაქმებით, აქვთ თუ არა მიწები და არიან თუ არა ჩართულები სოფლის მეურნეობაში, რა პროგრამები და პროექტები ხორციელდება მათთვის. დაინტერესდა, რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას დევნილი მოსახლეობა.

სტუმარმა ისაუბრა ოპოზიციის მიერ მიწოდებული ინფორმაციაზე ჩასახლებების მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით და დაინტერესდა, ახალი ჩასახლებების ხარისხი ერთნაირია თუ განსხვავებული. საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ 3 თვეში ამხელა ჩასახლების მშენებლობა დიდი შრომის შედეგია.

— ჩემი მიზანია, ვნახო თუ როგორართმევს თავს საქართველოს ხელისუფლება გამოწვევებს და დევნილებს. აქ ვნახე კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ დაიხარჯა საერთაშორისო დახმარება. ალბათ, შემდეგში, დევნილთა სხვა ჩასახლებებს მოვინახულებ, სადაც როგორც მითხრეს, ასეთი კარგი პირობები არ არის. იმისათვის, რომ გაუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს, გჭირდებათ დრო, სურვილი და პოლიტიკური ნება, რასაც თქვენი მთავრობა ახორციელებს და ჩვენ ამას ვაფასებთ, — განაცხადა აუდრონიუს აჟუბალისმა.

**პრაიმ-ნიუსი**

# შამბა მოსკოვმა დააჯილდოვა

სოხუმის რეჟიმის პრემიერი სერგეი შამბა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სამკერდე ნიშნით „საერთაშორისო თანამშრომლობაში წვლილისთვის“ დააჯილდოვა. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება.

ამასთან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შამბას 60 წლის იუბილეც მიულოცა. მილოცვის წერილში ლავროვი აღნიშნავს, რომ შამბამ მრავალწლიანი საქმიანობა საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას მიუძღვნა.

— აღნიშნავთ რა იუბილეს, თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ იმით, რაც გააკეთეთ ამ გზაზე. დარწმუნებული ვარ, წინ ახალი წარმატებები და მიღწევებია. თქვენ გიცნობთ, როგორც რუსეთთან მეგობრობისა და მოკავშირეობის თანმიმდევრულ მომხრეს და ვაფასებთ თქვენს წვლილს ამ კავშირის გამყარებაში, — ნათქვამია ლავროვის წერილში.

**ინტერპრესნიუსი**

# „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ დროული და საჭირო პროექტია

**21 მარტიდან გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად მკითხველი გაეცნობა ახალ პროექტს — „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“. პროექტის მიხედვით, ნავარაუდევია 199 წიგნის გამოცემა იმ ადამიანთა შესახებ, რომელთაც მსოფლიო შეცვალეს. იქნება თუ არა პროექტი საინტერესო ქართველი მკითხველისთვის და როგორ აფასებენ აღნიშნულ პროექტს ქართველი საზოგადო მოღვაწეები და პოლიტიკოსები, ამაზე ისინი თავად ისაუბრებენ.**

ნათია ხურცილავა



**დავით ზურაბიშვილი, პოლიტიკოსი:**

— ძალიან კარგი პროექტია. ადამიანები გაიგებენ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც გავლენა იქონიეს კაცობრიობის ცხოვრებაზე, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით კვალი დააჩნიეს სამყაროს. ასევე თავისთავად კარგია ასეთი წიგნების გაზეთთან ერთად გავრცელება, რადგან ახლა წიგნები ძალიან ძვირი ღირს და არ არის ხელმისაწვდომი ყველასთვის. რაც შეეხება პირველ წიგნს — მაჰათმა განდის, ის მხოლოდ პოლიტიკოსი არ იყო. ის სხვა რანგის მოღვაწეა. პოლიტიკოსები ის ადამიანები არიან, რომლებიც ქვეყანას მოცემულ მომენტში მართავენ და იმ კონკრეტულ დროს იღებენ გადაწყვეტილებას, მაგრამ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ზოგადად მათი მოღვაწეობით სამყაროს ცვლილება უფრო სახელოვნებო სამყაროს წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული. დიდი ჰუმანისტები, რელიგიური პირები, სასულიერო პირები, მეცნიერები, ეს ადამიანები უფრო ახდენენ გავლენას კაცობრიობაზე. შეიძლება თავის დროზე არ იყო ადამიანი იმ დონის ფიგურა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მის გარეშე სამყარო წარმოუდგენელია. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ფიგურა ლიტერატურაში, მხატვრობაში. რაც მეტი წიგნი იქნება ქართულ ენაზე თარგმნილი, კარგია, მაგრამ მთავარია კარგი ხარისხი, რომ კარგი წასაკითხი იყოს.



**მარიკა ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:**

— წიგნის გამოცემა, საერთოდ, უკეთილშობილესი საქმეა. კულტურის, ისტორიისა და ერის განვითარებისთვის წიგნს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ასეთი ხასიათის წიგნის გამოცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მე ვთვლი, რომ დღეს, როდესაც წიგნის მიმართ ცოტა შეცვლილი დამოკიდებულებაა, ასეთი წიგნის გამოცემა, ამას ხაზგასმით ვამბობ, ძალიან საშური საქმეა. დღეს, როდესაც ეუბნებიან, წიგნი რად გინდათ, აგერ კომპიუტერიაო, სახლში წიგნს რომ მიუტან და დადებ, იქნებ ჩაიხედოს ბავშვმა. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის აღზრდისთვის. ასეთმა პროექტებმა შეიძლება რაღაცა გავლენა მოახდინოს იმაზე, რომ ახალგაზრდობა წიგნისკენ მიბრუნდეს. რაც შეეხება 100 ადამიანს, რომლებმაც მსოფლიოს თავისი კვალი დააჩნიეს თუ შეცვალეს, იმედი მაქვს, რომ საუკეთესოებს შეარჩევთ. რაც შეეხება პირველ წიგნს, მაჰათმა განდის, უნდა გითხრათ, რომ არჩევანი ძალიან სწორი და ძალიან კარგია.

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი:**

— ძალიან საინტერესო პროექტი გახლავთ, იმიტომ, რომ ჩვენს საზოგადოებას, დიდ ნაწილს, წიგნიერება აკლია, განსაკუთრებით ახალგაზრდები მოიკოჭლებენ ამ მხრივ. წიგნს აუცილებლად უნდა აგიტაცია-პროპაგანდა. ადამიანს ბავშვობიდან უნდა უჩნდებოდეს სურვილი წიგნთან ურთიერთობის, მაგრამ კომპიუტერმა და ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკამ წიგნი უკან გასწია. თავის დროზე ლომაიამ განაცხადა, წიგნის ეპოქა დამთავრდა, იწყება ბავშვების კომპიუტერიზაციაო. ამას დღესაც აგრძელებს ხელისუფლება. წიგნი სავსებით სხვა არის. კომპიუტერი ინფორმაციის თარო გახლავთ, სადაც შემოდებულია ინფორმაცია. წიგნი აზროვნებას ასწავლის ადამიანს. წიგნი ყოველთვის მეგობარი უნდა იყოს კაცის. 70 წელს კარგა ხანია გადავცდი და ჩემთვის ყველაზე ძვირფასია პლატონის „დიალოგები“. ყოველთვის, როგორც კი დროს მოვიხელთებ, მას ვკითხულობ. წიგნი ჩვენი მეგობარი უნდა იყოს. ამ პროექტით, რა თქმა უნდა, ხელი შეეწყობა წიგნების გავრცელებას. მივესალმები ასეთ პროექტებს.





**ალექსანდრე შალამბერიძე, პოლიტიკოსი:**

— ძალიან საინტერესო პროექტია. ამას გულწრფელად გეუბნებით. მნიშვნელოვანია, როდესაც საქმე წიგნს ეხება და, მით უფრო, მის გამოცემას და გავრცელებას. საინტერესოა ის ადამიანები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს. მსოფლიო შეცვალეს პოლიტიკოსებმა და, რასაკვირველია, დიდმა ჰუმანისტებმა, რელიგიურმა მოღვაწეებმა, ხელოვნების წარმომადგენლებმა. დიდი ადამიანების ცხოვრება, მათი მოღვაწეობა, წვრილმანი დეტალიც კი მათ შესახებ საინტერესო იქნება. უპირველეს ყოვლისა, ეს პროექტი უდავოდ საინტერესო იქნება ახალგაზრდებისთვის, რომლებიც, ასე თუ ისე, იცნობენ თანამედროვე მსოფლიოს. მათთვის ეს ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანი იქნება და ამას მივესალმები. ახალგაზრდებისთვის შეიძლება ერთგვარი ბიძგიც გახდეს, რომ მათაც ამ გზით იარონ და არა — სხვა გზით. ის ადამიანები, რომლებმაც იღვაწეს იმისთვის, რომ მსოფლიო უკეთესობისკენ შეცვლილიყო, რასაკვირველია, ყველასთვის საინტერესო არიან.

**სიმონ შარაძე, მოქალაქე:**

— პროექტი მომეწონა, სწორედ დღევანდელ ახალგაზრდობას ეს ძალიან წაადგება, ამან შეიძლება ვიღაცას სტიმული მისცეს. თანაც უნდა იცოდეს ყველა ადამიანმა მსოფლიოს გამოჩენილი, დიდი პიროვნებები. ეს ბევრ რამეს ნიშნავს. დასაწყისი კარგია. სხვათა შორის, რომ ვნახე პირველი წიგნი, მაჰათმა განდია, კითხვა გამიჩნდა — რატომ? მაგრამ არაფერი არ არის აქ ცუდი. იყოს, რადგან ის დიდი მოღვაწე და პიროვნება იყო. შესაძლებელია, სწორედ განდით დავიწყოთ, მაგრამ არ უნდა გამოვტოვოთ ის, ვინც მართლა შეცვალა მსოფლიო.

***— გვკითხეთ, ქართველებიდან ვინ იქნება, მოლოდინი გქონდათ, რომ აუცილებლად უნდა იყოს სტალინი...***

— დიახ, მე იმიტომ დაგიკავშირდით რედაქციაში, რომ გამერკვია. თუმცა, სხვანაირად წარმოუდგენლად მიმაჩნია, ის მართლაც უდიდესი პიროვნება იყო, მაგრამ მისი ბიოგრაფიული მონაცემები და შეხედულებები არ იყოს გამრუდებული სახით წარმოდგენილი. ამითაც იყო ჩემი ზარი განპირობებული. ობიექტური გაშუქება უნდა იყოს.



**მზექალა შანიძე, აკადემიკოსი:**

— მაჰათმა განდი უდიდესი მოღვაწე იყო, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა იქონია ინდოეთის საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. იყო როგორც რელიგიური, ისე მოქალაქეობრივი ლიდერი ქვეყნიერების. ძალიან დიდი როლი ითამაშა ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ასე რომ, მისი წიგნის გამოცემა უსათუოდ ძალიან კარგი საქმეა. ზოგადად წიგნის გამოცემა კარგი საქმეა. ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იცნობს მას. ადრე იყო მის შესახებ, მაგრამ დღევანდელი ახალგაზრდობისთვის ეს სრულიად უცნობი სახელია, არადა, ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ფიგურა არის ინდოეთის ისტორიაში და, საერთოდ, საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია, ამ პროექტში დანარჩენი ვინ იქნება წარმოდგენილი.



**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

— ასეთი პროექტები მართლაც მნიშვნელოვანი და კარგია. კარგია იმიტომ, რომ წიგნი მნიშვნელოვანია ადამიანისთვის. ასევე მნიშვნელოვანია ეს პროექტი იმითაც, რომ ახალგაზრდები ხელში აიღებენ წიგნს და გადაშლიან, იქნებ წაიკითხონ კიდეც. დღეს წიგნებს ყიდულობენ მშობლები და არა — ახალგაზრდები. წიგნებს ახალგაზრდებიც უნდა ყიდულობდნენ. მაშინ ისინი უფრო წაიკითხავენ. ჩვენ ტრადიციულად სახლში ძალიან კარგი ბიბლიოთეკა გვქონდა. კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა ბაბუაჩემს, რომელიც მამას ერგო, მე კი მამასგან მერგო, მართლაც კარგი ბიბლიოთეკა მაქვს. ჩემი შვილებიც კითხულობენ რაღაცეებს. წიგნის გამოცემას ყოველთვის მივესალმები, რადგან ეს კარგი საქმეა. დღეს ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ბავშვები წიგნებს დაშორდნენ, რომ წიგნიერები არ გახდნენ. მე ყველა წიგნს ვყიდულობ და მერე ჩემს შვილიშვილს ვუკითხავ, რადგან მან ჯერ კითხვა არ იცის. ვიმეორებ, მართლაც საშური პროექტია.



**ავთანდილ მარგიანი, პოლიტიკოსი:**

— ძალიან კარგი პროექტია. ამ ადამიანებმა მსოფლიო გეოგრაფიულად ან ფიზიკურად კი არ შეცვალეს, არამედ აზროვნება შეცვალეს. ხალხთა შორის ურთიერთობები შეცვალეს. ამ ადამიანებმა სამართლიანობისთვის იბრძოლეს. საინტერესოა ასეთი ადამიანების გაცნობა თანამედროვე ახალგაზრდებისთვის. მე გეტყვით, რომ პირველი სტალინი უნდა იყოს. მან სოციალური სამართლიანობის ყველაზე დიდი რევოლუცია და საქმიანი ათწლეულები გაატარებინა მსოფლიოს.



**ელენე თევდორაძე, პოლიტიკოსი:**

— ნამდვილად მივესალმები ასეთი წიგნების გამოცემას, რადგანაც, სამწუხაროდ, ტელევიზიამ და კომპიუტერმა წიგნი ჩაანაცვლა. დღეს ახალგაზრდების ცხოვრებაში იმდენად აქტუალურია კომპიუტერი, რომ მათ წიგნის წაკითხვის, გაანალიზების, მსჯელობის სურვილი პრაქტიკულად არ აქვთ და არც მიდრეკილება. წიგნებსაც კი კომპიუტერის ეკრანიდან კითხულობენ. ამიტომ მე ვთვლი, რომ რაც უფრო მეტი ახალი წიგნი დაიბეჭდება, კარგია. მეორე მხრივ, ისიც სამწუხაროა, რომ ნაკლებად ინტერესდებიან და ნაკლებად აქვთ ინფორმაცია იმ ადამიანებზე, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს და თავიანთი ცხოვრებით კვალი დატოვეს. ჩემი ასაკის ადამიანებისთვისაც საინტერესო იქნება ეს პროექტი. საინტერესო იქნება ეს წიგნები ქართველი მკითხველისთვის, რადგან დღეს საზღვრები მთელ პლანეტაზე ძალიან გაფართოვდა. პრაქტიკულად გლობალიზაცია მოხდა ყველაფრის — აზროვნების, ცხოვრების, ინტერესების. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ მხოლოდ საქართველოს ფარგლებში ჩავიკეტებით, ჩათვალეთ, რომ ვერ ჩავერთეთ ამ პროცესში. ეს კი დიდი დანაკარგი იქნება თითოეული ადამიანისთვის. ამიტომ, ასეთი წიგნები მნიშვნელოვანია.

## პატიმრების მხარდამჭერ აქციას არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეუერთდებიან

პატიმრების მხარდამჭერ აქციას არასამთავრობო ორგანიზაციებიც შეუერთდებიან.

მედიაკავშირ ობიექტივისა და წინააღმდეგობრივი მოძრაობის აქციას, რომლის გამართვაც 18 მარტს იგეგმება 15 არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლის“ თავმჯდომარემ, იური ვაზაგაშვილმა განუცხადა, ის და მისი თანამოაზრეები აბსოლიტურად იზიარებენ აქციის ლოზუნგს, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს „მეც პატიმარი ვარ“.

ვაზაგაშვილის განცხადებით, დღეს ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა საქართველოს ყველა მოქალაქე ტყვეობაში ცხოვრობს და არავისთვის არ არის უცხო ის მძიმე პირობები რომლის ატანაც პატიმრებს ციხეებში უწევთ.

— ჩვენი მიზანი პატიმრების მიმართ სოლიდარობის გამოხატვაა და ვიმედოვნებთ, რომ დაგეგმილ აქციას საზოგადოების დიდი ნაწილი შეუერთდება. იმედი გვაქვს, რომ ერთად დგომით ძალადობრივ რეჟიმს დავამარცხებთ და პატიმრების დახმარებასაც შევძლებთ, — აღნიშნა იური ვაზაგაშვილმა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რუსთაველის გამზირზე საინფორმაციო ბუკლეტები დაარიგეს, სადაც პატიმრების ყოფის ამსახველი მასალები იყო დაბეჭდილი და ხალხს 18 მარტს დაგეგმილ აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდეს.

**მედიანიუსი**

## აღმასრულებლები ახალი ავტომანქანებით ივლიან

ნანა მიშელაშვილი

აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონების შედეგად რეალიზებული ქონების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. პარლამენტის მიერ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, აღსრულების ეროვნულ ბიურო აუქციონების ჩატარების ელექტრონულ სისტემაზე გადავიდა. ამ სისტემის მეშვეობით აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებს შესაძლებლობა მიეცათ სასურველი ნივთი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ელექტრონულად, სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად შეიძინონ.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის ნიკა მელიას განმარტებით, ელექტრონული აუქციონი უფრო მარტივი და მოქნილია.

— ელექტრონული აუქციონით კორუფციულ რისკებს ავიცილებთ, მივაღწევთ აუქციონის სრულ გამჭვირვალობას და უფრო მეტი მომხმარებლის ჩართვას აუქციონებში, აგრეთვე შეიქმნება მეტად კონკურენტუნარიანი გარემო, — მიაჩნია აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს.

ნიკა მელიას განმარტებით, 2011 წლის თებერვლიდან აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აუქციონების შედეგად რეალიზებული როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. რეალიზებული ქონების ზრდა აუქციონების ჩატარების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ განაპირობა.

— ელექტრონული აუქციონის შედეგად, პირველ ელექტრონულ აუქციონზე — 23, ხოლო განმეორებითი ელექტრონული აუქციონის შედეგად სამი უძრავი ქონება გაიყიდა. რაც შეეხება მოძრავ ქონებას: პირველ ელექტრონულ აუქციონზე — 38, ხოლო განმეორებითი ელექტრონული აუქციონის შედეგად 17 მოძრავი ნივთი გაიყიდა, — განაცხადა ნიკა მელიამ.

კიდევ ერთი, 2011 წლის თებერვლის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში სააღსრულებო ბიუროების მიერ გადაირიცხა 10 534 599.82 ლარი. მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვლის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ შედაგინა 29 884 611.96 ლარი.

სიახლეა ისიც, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს აღმასრულებლები სამსახურებრივ მოვალეობას ახალი მანქანებით შეასრულებენ. „შკოდას“ ფირმის ავტომანქანები აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ტენდერის შედეგად შეიძინა. სულ 35 ავტომანქანაა შეძენილი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის თქმით, ახალი ავტომანქანებით მომარაგება აღმასრულებლების მუშაობის პირობებს გაცილებით გააუმჯობესებს, უზრუნველყოფილი იქნება აღმასრულებლების სწრაფი გადაადგილება, რაც მათი სამუშაო დროის დაზოგვასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებაზე აისახება.



# საქართველოში ბავშვები შიმშილით იღუპებიან

## სააკაშვილი 2913 წლამდე თუ დავტოვეთ, საქართველოსგან არაფერი დარჩება



ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ სახალხო კრების ლიდერ ნონა გაფრინდაშვილთან

***— ქალბატონო ნონა, სახალხო კრება აცხადებს, რომ ქვეყანას რევოლუციის მეტი არაფერი უშველის. ხელისუფლება კი აკრიტიკებს იმ პოლიტიკოსებს, ვინც ამ განცხადებას აკეთებს და აცხადებს, რომ წინდაუხედავი განცხადებებია და ამის მთქმელს არანაირი პოლიტიკური გამოცდილება არ აქვსო...***

— სრულებით არ მაღელვებს მაგათი განცხადებები, შემიძლია გითხრათ, აბსოლუტურად არ მაღელვებს. ქვეყანა იღუპება და ჩვენ აქ ვართ იმისთვის, რომ ქვეყანა გადავურჩინოთ თაობებს. ამიტომ, რაც უნდათ, ის ილაპარაკონ. ისინი საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს, ისეთი შაბეჭდილება მრჩება, რომ საკუთარი ხალხი ეზიზღებათ, რადგან ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს არ აკეთებენ, მხოლოდ თავიანთთვის აქვთ ეს ცხოვრება მოწყობილი. ამიტომ, ეს არის ჩვენი კონსტიტუციური უფლება, ეს არის სახალხო კრების გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებას აქვს სრული ლეგიტიმაცია. ეს ჩვენს უფლებებში შედის. როდესაც არ გვაკმაყოფილებს ხელისუფლება, ასეთი ხელისუფლების წინააღმდეგ შეგვიძლია გავილაშქროთ და სწორედ ამას ვაკეთებთ ჩვენ. ისინი, რა თქმა უნდა, ილაპარაკებენ იმიტომ, რომ მათ ძალიან ეძნელებათ სკამების დათმობა. იმდენი საშინელება ჩაიდინეს, რომ სერიოზული შიში აქვთ. ეშინიათ იმ კომფორტის და ფუფუნების დათმობის, რაც მათ აქვთ სწორედ ჩვენი ხალხის გაუბედურების ხარჯზე შეძენილი.

***— უმძიმესია სოციალური ფონი, ამ დროს კი ჩვენი პრეზიდენტი ამერიკაში ამაყად გამოდის და აცხადებს, ძლიერი ქვეყანა გვაქვსო...***

— დიახ, გამოდის და იძახის, რომ თურმე ეკონომიკის კუთხით წამყვანი ქვეყანა ვართ, რომ დემოკრატია არის ჩვენთან და ამ დროს, 21-ე საუკუნეში, ჩვენთან ბავშვი იღუპება შიმშილით. ეს ხომ საშინელებაა, ამაზე დიდი უბედურება რა შეიძლება მოხდეს?! ამიტომაც ვართ ჩვენ ჩართული ამ საქმეში. სახალხო კრება მიზანმიმართულად წინ-წინ მიიწევდა თავისი გაძლიერებისთვის. თქვენ იცით, ხალხში როგორი შიშის სინდრომია დანერგილი. დღეს ძალიან ბევრს უკიდურესად უჭირს, მაგრამ ხმას ვერ იღებს იმის გამო, რომ რაღაცის ეშინია. ჩვენ უნდა გადავალახვინოთ ამ ხალხს ეს შიში, ამიტომაც შევქმენით შეფიცულთა ინსტიტუტი, რათა დავანახოთ ხალხს, რომ მზად ვართ ყველას გვერდში დავუდგეთ, ვისაც უსამართლოდ დაჩაგრავენ, ვისაც ჩაუსაფრდებიან იმის გამო, რომ ის მათი მოწინააღმდეგეა. ამ კომიტეტების შექმნა სწორედ ამან განაპირობა, რომ კომიტეტებმა ხალხთან იმუშაოს და ეს იდეები მიიტანოს მათთან. ჩვენ ამისთვის სერიოზულად ვემზადებით. რომ იტყვიან, ჩვენ არ გავჩერებულვართ. ქალაქის აქტივის შეკრებამ დაადასტურა, რომ ჩვენ სერიოზულად წინ წავიწიეთ და რომ დამთავრდება საალდგომო დღესასწაული, აღდგომის შემდეგ ჩვენ მზად ვიქნებით სერიოზული მოქმედებებისთვის. ჩვენ დიდი თავყრილობა არ გვექნება, უბრალოდ, შევიკრიბებით და განვაცხადებთ ჩვენი მოქმედებების დაწყების თაობაზე. ჩვენ უკვე ვიწყებთ უშელავათო ბრძოლას, გადამწყვეტ ბრძოლას!

***— და ეს აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მოხდება?***

— დიახ, აღდგომის შემდეგ პერიოდში, უკვე სრული ინფორმაციაც გვექნება ჩვენი კომიტეტებისგან და ჩვენს მზადყოფნას გამოვაცხადებთ.

***— როგორც ცნობილია, შეფიცულთა ინსტიტუტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ქალბატონებიც წევრიანდებიან მასშიო...***

— ქალბატონებიც არიან, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულებიც. ეს არ არის შეიარაღებული. აქ ადამიანს უნდა დაანახო, შენ როგორ შეგიძლია მისი დახმარება, სამართლებრივად, მორალურად თუ ფიზიკურად. ხელებით, შიშველი ხელებით. გაწევრიანება ხდება ნებაყოფლობით და ძალიან ბევრმა გამოთქვა ამ ჯგუფებში ყოფნის სურვილი. ყველანაირი ასაკის ხალხია, არიან ქალებიც, კაცებიც, ახალგაზრდებიც, ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენ, ყველანი, შეფიცულები არა ვართ თვითონ? ჩვენ სერიოზულ ბრძოლაში ჩავებით უკვე ამ ხელისუფლების წინააღმდეგ. არ არის სავალდებულო, იყო რაზმის წევრი, სადაც ჩვენ შეგვეძლება, ფიზიკურად იქვე გავჩნდებით. კომიტეტებს მცირე ჯგუფი თითქმის ყველგან ეყოლებათ, რომელიც 24 საათის განმავლობაში, ნებისმიერ დროს მზად იქნება დახმარების აღმოსაჩენად. თუნდაც როცა აქტიურ ადამიანს მიაკითხავენ სახლში დასაშინებლად, ან როცა დაიჭერენ და რომ არ მოუნდომონ მას რაღაცის ჩადება, ჩვენი ჯგუფები სამართლებრივი გზითაც დაეხმარებიან ამ ხალხს. სადაც მოვახერხებთ, ყველგან მივალთ, ყველგან ჩავალთ.

***— ნებისმიერ კანონდარღვევაზე გექნებათ რეაქცია?***

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას უსამართლობაზე. დღეს ძალიან ბევრს ეშინია და ფიქრობს, მე რომ ახლა ქუჩაში გავიდე, ვიაქტიურო, შეიძლება დამხვდნენ, მცემონ, ამიყვანონ, რაღაცა გამიკეთონ. ამით ჩვენ ვეუბნებით ამ ადამიანებს, რომ ჩვენ თქვენ გვერდით ვართ. რა თქმა უნდა, შეიძლება აქ ცუდ შემთხვევებსაც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ ჩვენ ამ ყველაფრისთვის მზად ვართ. სადაც უცბად მოხდა ჩარევა, როცა მოინდომეს ვილაცის დაჩაგვრა, ყველგან ყოველთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა. ამიტომ უცბად რეაგირებას აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა. ბევრმა არც იცის და ადამიანს რომ აიყვანენ, 2 საათის განმავლობაში ამ ადამიანს აქვს უფლება, რომ მისი დაკითხვა იქნება თუ სხვა პროცესუალური რამ, მოხდეს მისთვის სასურველ პირთან ერთად, იმ ადამიანთან, რომლის დაძახებასაც ის მოინდომებს. სწორედ ამიტომაც ვართ ჩვენ შეფიცულების ინსტიტუტში 24 საათიან რეჟიმში, რომ ნებისმიერ დროს, თუნდაც შუაღამისას, ჯგუფი უნდა გაჩნდეს იქ.

***— ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ხელისუფლებასთან აწარმოებენ დიალოგს გარემოს გაუმჯობესების თაობაზე, საუბრობენ იმის შესახებ, რომ გაზაფხულზე არეულობა და საპროტესტო გამოსვლები სააკაშვილს აწყობს და სწორედ ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალსო...***

— იცით რა, ეგენი ნუ ამართლებენ თავიანთ პოზიციას, ძალიან გთხოვთ, რა! ჩვენზე მაგათი ლაპარაკი სრულებით არ მოქმედებს. ამით ისინი თავიანთ ნაბიჯებს ამართლებენ. ეს ხელისუფლება რომ 2013 წლამდე დავტოვოთ, მერწმუნეთ, ამ ქვეყნისგან აღარაფერი დარჩება. საქართველოში მოსახლეობის რიცხვი ხომ შემცირდება და როგორც გუშინ გარდაიცვალა ერთი ბავშვი შიმშილისგან, კიდევ შეიძლება ბევრი მიემატოს. ეგენი დემაგოგიით არიან გართულები. თუ მართლა უნდათ ხელისუფლების შეცვლა, მოვიდნენ და დადგნენ ჩვენს გვერდით, როცა ჩვენს მოქმედებებს გამოვაცხადებთ. აბსოლუტური ლუსტრაცია მოხდება სწორედ მაშინ, ვის უნდა მართლა ამ ხელისუფლების გაშვება და ვინ თამაშობს ორმაგ თამაშს.

***— სახალხო კრების გარდა, არიან ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ასევე მკვეთრ განცხადებებს აკეთებენ და მზად არიან ხელისუფლება რევოლუციის გზით შეცვალონ. თუ არის შესაძლებელი თქვენი და ამ ძალების თანამშრომლობა?***

— ჩვენ ამას ღიად ვაცხადებთ და ჩვენს ყველა გამოსვლაში ეს კარგად იგრძნობა, ჩვენ მთელი ჩვენი მუშაობის პერიოდში ვამბობდით, რომ ვისაც მართლა უნდა ამ ხელისუფლების გაშვება, ვინც მზად არის, რომ ბოლომდე იბრძოლოს ამ იდეისთვის, აქ მხოლოდ ერთ რაღაცაზე, ამ ხელისუფლების გაშვებასა და მოცილებაზეა ლაპარაკი, მიიღონ მონაწილეობა, სიამოვნებით მივიღებთ ყველას, რაზეა ლაპარაკი! ჩვენ არანაირი პრობლემა არა გვაქვს, მთავარია მოვიდნენ და გვერდში დაგვიდგნენ.

***— პრეზიდენტის ინიციატივით აქტიურად მიმდინარეობს ფასიანი ვაუჩერების დარიგება, როგორც თავად ამაყად განაცხადა, პენსია ას ლარამდე გაიზრდებაო...***

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ როდესაც ის პენსიების 7 ლარით გაზრდას გვპირდება, ეს სასაცილოა, რა არის 7 ლარი, მითხარით?! რამდენ ხანს ეყოფა 7 ლარი ადამიანს? მარტო პურისთვის და ჩაისთვის. 7 ლარითო, როდესაც თვითონ ამ პენსიებთან შედარებით ხელფასები აქვთ ორასჯერ მეტი. კიდევ იმხელა პრემიებს იღებენ, რომ გაგიჯდება ადამიანი. ნამუსი აქვთ საერთოდ ამ ქვეყნის ხელისუფლებას? არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ეს, რომ მინიმალური ხელფასიდან უმაღლეს ხელფასამდე 200-ჯერ და მეტჯერ იყოს განსხვავება. რა 7 ლარის მომატებაზეა ლაპარაკი, როცა ესენი მოუმატებენ ამ 7 ლარს, თუ საერთოდ მოუმატეს, იკითხონ ერთი, რამდენჯერ იქნება პროდუქტების ფასი გაზრდილი. ყოველ კვირა ფასი იზრდება პროდუქტებზე. ჩვენი პრეზიდენტი მიწაზე არ დადის, ის ჰაერში დაფრინავს.

***— ტრამპთან შეხვედრისას ამაყად განაცხადა, რომ თურმე ბიზნესის კეთებით მსოფლიოში პირველ ადგილზე ვყოფილვართ...***

— რომელ ბიზნესზეა ლაპარაკი? რა ბიზნესია საქართველოში, ერთი მითხარით. თუ რამე იყო, ყველაფერი მოსპეს. მეწარმეებს გასაქანს არ აძლევენ, ყველანაირად უშლიან ხელს. ჯერ ტრამპთან ვიზიტი რომ ავიღოთ. რომელი პრეზიდენტი გინახავს, იქით მიფრინავდეს ბიზნესმენთან შესახვედრად. გარდა ამისა, ტრამპი არის ამერიკის პრეზიდენტის მოწინააღმდეგე. საერთოდ არ მესმის, თუ მეგობარ ქვეყანად თვლის ამერიკას, მიდის ბიზნესმენთან, რომელიც ებრძვის ქვეყნის პრეზიდენტს და თან იძახის, ჩემი მეგობარი ქვეყანააო. ეს პოლიტიკურად, დიპლომატიური კუთხით არაფრით არ არის გამართლებული. მეორეც, არაფრით არ არის გამართლებული, რომ პრეზიდენტი თვითონ მიფრინავდეს მიზმენსმენთან შესახვედრად და ეხვეწებოდეს, ჩამოდი ჩემს ქვეყანაში და ფული ჩადეო.

***— ობამასგან მხარდაჭერას ვერ გრძნობს და დასაყრდენს სხვა ძალებში ეძებსო...***

— ჰოდა, ეს სწორედ იმის მანიშნებელია, თუ როგორ ეშინია ჩვენს პრეზიდენტს, როგორი შიშით უყურებს მოვლენებს და მან კარგად იცის, საით მიდის ყველაფერი.

***— ფიქრობთ, რომ ეგვიპტის და ტუნისის პროცესები ჩვენს ქვეყანაშიც გარდაუვალია?***

— იცით რა არის, ჩვენ გვინდა, რომ ეს მართვადი იყოს, თორემ ადრე თუ გვიან, ეს გარდაუვალი იქნება. რაც უფრო გაიწელება დრო, მით უფრო დამძიმდება ვითარება, ამიტომ, რაც მალე მოხდება ის, რაც მოსახდენია, ეს ქვეყნისთვის უკეთესი იქნება. ხალხმა უნდა გაითავისოს ეს ყველაფერი, ხალხმა უნდა ისწავლოს თავისი უფლებების დაცვა, ხალხმა უნდა დაიბრუნოს ღირსება!

***— სააკაშვილი სისხლს დაღვრის, ისე ხელისუფლებას არ დათმობსო, ამის თაობაზე როგორია თქვენი პოზიცია?***

— ერთი წვეთი სისხლის დაღვრაც კი მთელს ხელისუფლებას იმ წუთას შეუყენებს წყალს. სააკაშვილი ამას ვერ გაბედავს, მაგრამ თუ გაბედა, მისი დანაშაული უფრო მძიმე იქნება, ვიდრე მაგას ჰგონია. ჩვენ გამოვაცხადებთ მზადყოფნას აღდგომის შემდეგ, მივიღებთ ყველა ინფორმაციას ყველა კომიტეტისგან და მოვემზადებით იმ ქმედებებისთვის, რამაც უნდა დაასრულოს ეს ხელისუფლება. ჩვენ უკან არ დავიხევთ. ჩვენ რომ ხალხს დავუძახებთ, იმ ხალხს უკან აღარ გავუშვებთ! მთავარია ხალხი დაგვიდგეს გვერდით.

# თავდაცვის აკადემიის რექტორი აბიტურიენტებს შეხვდა

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში ჩაბარებისა და სწავლის პირობები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა გუშინ თელავის რაიონის აბიტურიენტებს გააცნეს.

აბიტურიენტებს თავდაცვის აკადემიის რექტორი ანდრო ბარნოვი და შეიარაღებული ძალების ოფიცრები შეხვდნენ. ოფიცრებმა მოსწავლეებს თავდაპირველად აკადემიის შესახებ სპეციალურად მათთვის მომზადებული პრეზენტაცია წარუდგინეს. პრეზენტაციის შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

აკადემიაში სწავლა სრულად ფინანსდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მსმენელები უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელი ადგილით, კვებით, უნიფორმით, სამედიცინო მომსახურებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. თავდაცვის აკადემიაში ჩაბარების შემდეგ მსმენელი აფორმებს ხელშეკრულებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და იღებს სამხედრო მოსამსახურის სტატუსს. აკადემიის კურსდამთავრებული იღებს ბაკალავრის ხარისხს და ლეიტენანტის სამხედრო წოდებას. აკადემიური პროგრამები - აკადემიის საბაკალავრო პროგრამები ხორციელდება ორი სკოლის მეშვეობით: ტექნიკურ მეცნიერებათა სკოლა: - აეროდრომებისა და საავტომობილო გზების მშენებლობა, საინფორმაციო ტექნოლოგიები; ბიზნესისა და მართვის სკოლა: - ზოგადი მენეჯმენტი, ლოგისტიკა და ექსპედირება.

აკადემია მოამზადებს ოფიცრებს ქვეითი, საინჟინრო, ლოგისტიკის, სატანკო, მექანიზირებული, არტილერიის, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის და კავშირგაბმულობის სპეციალიზაციით. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაციის ვადა 2011 წლის 25 მარტს იწურება.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ეწვია

გუშინ საქართველოს სამუშაო ვიზიტით პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჰენრიკ ლიტვინი ეწვია.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო უწყებიდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან გრიგოლ ვაშაძესთან. მათ განიხილეს ორ ქვეყანას შორის არსებული ორმხრივი, როგორც პოლიტიკური ასევე ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები.

ვიზიტის ფარგლებში ასევე შედგა გაფართოებული შეხვედრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ნიკოლოზ ვაშაკიძესთან. შეხვედრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბრონისლავ კომოროვსკის შესაძლო ვიზიტს საქართველოში. მხარეებმა ისაუბრეს ევროკავშირთან დაახლოების კუთხით გასულ წელს მიღწეული პროგრესის მნიშვნელობაზე, პოლონეთის რესპუბლიკის ევროკავშირის მომავალ თავმჯდომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონში შექმნილ მდგომარეობას და არსებული ვითარების მშვიდობიანი გზებით დარეგულირების აუცილებლობას. საუბარი ასევე შეეხო საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ჰენრიკ ლიტვინის შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატში და ეროვნული უშიშროების საბჭოში.

**მედიანიუსი**

# დედაქალაქის მთავრობის შემადგენლობა იზრდება

დედაქალაქის მთავრობის შემადგენლობა იზრდება. ცვლილება „საქართველოს დედაქალაქის „თბილისის შესახებ“ კანონში შედის.

დღეს მთავრობა შედგება: მერის, მერის მოადგილეებისა და ქალაქ თბილისის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებისგან. თბილისის რაიონების გამგებლები კი თანამდებობრივად შედიან მთავრობის შემადგენლობაში.

რაც შეეხება კანონპროექტს, ახალი ინიციატივით მთავრობის შემადგენლობაში შედის მერიის ადმინისტრაციის უფროსიც.

კანონპროექტის ავტორი თბილისის მერიაა, ინიციატორი კი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ვახტანგ ბალავაძე. პროექტის განხილვა უახლოეს დღეებში დაიწყება.

**ინტერპრესნიუსი**

# კალმახელიძემ პრობაციონერებს პირველი სამუშაო დღე მიულოცა



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ მშენებლობაზე დასაქმებულ პრობაციონერებს პირველი სამუშაო დღე მიულოცა.

მინისტრი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროს გიორგი თვაურთან ერთად, მცხეთაში, კერძო კომპანიის მიერ წარმოებულ სამშენებლო ობიექტზე იმყოფებოდა, სადაც პრობაციონერები სამინისტროს შუამდგომლობით დასაქმდნენ.

ხათუნა კალმახელიძის თქმით, პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება მნიშვნელოვანია, რადგან მათი რეაბილიტაცია განმეორებითი დანაშაულის პრევენციას ხელს უწყობს.

პრობაციონერთა რესოციალიზაცია და მათი დასაქმების ხელშეწყობა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

**ინტერპრესნიუსი**

# აშშ ელჩი გრიგოლ ვაშაძეს შეხვდა

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჯონ ბასი მიიღო.

შეხვედრაზე განხილულს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხთა ფართო სპექტრი და რეგიონში არსებული მდგომარეობა, — აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს საგარეო უწყებიდან.

**მედიანიუსი**

# რუსეთი შეიძლება კომპრომისებზე წამოვიდეს

**რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესაძლოა საქართველოს თანხმობის გარეშეც გაწევრიანდეს. ამ შესაძლებლობას თბილისშიც არ გამორიცხავენ, თუმცა, გასაკვირი იქნება, თუ ვმო ამ პრეცედენტს დაუშვებს. საკითხის ირგვლივ პოლიტიკოსებს და ექსპერტებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ.**

*გერა მამულაშვილი*



ამ თემაზე ბერნის რუსულ-ქართული დიალოგი იმით დასრულდა, რომ მხარეები ერთ თვეში მოლაპარაკების მაგიდას კვლავ დაუბრუნდებიან. მხარეებმა აიღეს ვალდებულება, რომ მომავალ შეხვედრამდე განცხადებებს არ გააკეთებდნენ. თუმცა, რუსეთის საგარეო მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ თუ საქართველო „გაჯიუტდება და ჩვეულ მოთხოვნებს დააყენებს, რუსეთი ამის გარეშეც მოახერხებს ორგანიზაციაში შესვლას“.

ლავროვის განცხადებას თბილისში აღშფოთება მოჰყვა. საგარეო მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ რუსი კოლეგა შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა. ქართული მხარე საკუთარ მოთხოვნებზე უარის თქმას არ აპირებს. საუბარია თუნდაც ევროკავშირის დამკვირვებლების მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საბაჟო პუნქტების მონიტორინგზე და ეკონომიკური ემბარგოს მოხსნაზე. რუსები კი, როგორ წესი, პატარა ქვეყნებს არაფერს უთმობენ და ყველაფერი მუქთად უნდათ.

ვმო-ში რუსეთის გაწევრიანების შესაძლებლობებს ექსპერტები განიხილავენ. სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი კახა გოგოლაშვილი აცხადებს, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლას საქართველოსთან სადავო საკითხების დარეგულირების გარეშე შეძლებს, თუკი ვმო-ს წევრი ქვეყნების საგარეო მინისტრების კონფერენციის მონაწილეთა ორი მესამედი ხმას მისცემს.

გოგოლაშვილის თქმით, ვმო-ს მინისტრების კონფერენცია ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. უახლოესი კონფერენცია 2011 წლის დასასრულამდე უნდა შედგეს. კონფერენციის ჩატარებამდე რუსეთის ვმო-სთან მიერთების საკითხებს განიხილავს სამუშაო ჯგუფი, რომელმაც რუსეთის მზაობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს.

— ამ ჯგუფმა რუსეთთან მოლაპარაკებები საკითხების ორ ჯგუფზე უნდა დაასრულოს. პირველი ჯგუფი — ეს საერთო საკითხებია, რომლებიც შეეხება რუსეთის საგარეო ვაჭრობის რეჟიმს საერთო პლანში, ხოლო მეორე ჯგუფი — ეს რუსეთის ორმხრივი ურთიერთობებია ვმო-ს ყველა წევრ ქვეყანასთან, — აცხადებს კახა გოგოლაშვილი.

მისი თქმით, ჯგუფი ძირითადად განიხილავს რუსეთის ურთიერთობებს იმ წევრ ქვეყნებთან, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები აქვთ რუსეთთან, ანდა ვისაც ამ მომენტისთვის რუსეთის მიმართ კონკრეტული პრეტენზიები აქვს.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ორმხრივი ურთიერთობების ამ საკითხებში მუშაობა ძირითადად დასრულებულია და კომისიას დასკვნა პრაქტიკულად მზად აქვს. დარჩა მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი, — ამბობს კახა გოგოლაშვილი.

ის აღნიშნავს, რომ თუ კომისია საქართველოს პრეტენზიებს ლეგიტიმურად ჩათვლის, მაშინ გაუჭირდება რეკომენდაციის დაწერა, რომელიც რუსეთს მისცემს შესაძლებლობას, კონფერენციაზე თავისი წევრობის საკითხი კენჭისყრაზე გამოიტანოს.

— რა თქმა უნდა, თუ კომისია ჩათვლის, რომ საქართველო არასაკმარისად ლეგიტიმურ პრეტენზიებს აყენებს და საქართველოს ამ წინააღმდეგობას დაძლევს, მაშინ საკითხი კონფერენციაზე ხმების ორი მესამედით გადაწყდება, — ამბობს გოგოლაშვილი.

ეკონომიკის ექს-მინისტრი ლადო პაპავა თვლის, რომ უახლოეს კონფერენციაზე ასეც მოხდება და რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებას ხმების ორ-მესამედს მისცემენ.

— როგორც ჩანს, როდესაც ჟენევაში მინისტრები შეიკრიბებიან, რომ განიხილონ და ხმა მისცენ რუსეთის გაწევრიანებას, ქართული მხარე იქ ალბათ უფრო არ ჩავა. ამით საქართველო დააფიქსირებს უარყოფით განწყობას იმ პრობლემების გადაუწყვეტელობის გამო, რომლებსაც ის აყენებს, — ამბობს ლადო პაპავა.

ამასთან პაპავა თვლის, რომ საქართველომ მოლაპარაკებებზე არ უნდა შეცვალოს თავისი სტრატეგია, რაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან საბაჟოებზე საერთაშორისო დამკვირვებლების განთავსებას ითვალისწინებს.

— პოლიტიკურად ეს ნიშნავდა, რომ საქართველო ვმო-ს კონტექსტში აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს აღიარებს. ახლა მოდით შევხედოთ, ყველაფერი პირიქით რომ ყოფილიყო: რუსეთი ვმო-ს წევრი რომ ყოფილიყო, ხოლო საქართველო ამის მსურველი, რას მოგვთხოვდა ჩვენ რუსეთი? რუსეთი ხომ არცერთ ნაბიჯს არ დაუთმობდა საქართველოს, რადგან ის ისედაც არასოდეს არაფერს თმობს, განსაკუთრებით მცირე სახელმწიფოებთან. ამასთან, რუსეთის ამ მოთხოვნებს პოლიტიკურად არავინ ჩათვლიდა, — თვლის ლადო პაპავა.

პარლამენტის წევრი პეტრე მამრაძე თვლის, რომ რეალურად საქართველოს მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ მოხდება, თუკი რუსეთი ვმო-ში ფსოუს და როკის გვირაბის მონაკვეთზე კონტროლის დამყარების გარეშე გაწევრიანდება.

— მე ვერავითარ კავშირს ვერ ვხედავ. როგორ შეიძლება ეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან იყოს დაკავშირებული? არავითარ შემთხვევაში!, — აცხადებს მამრაძე.

კახა გოგოლაშვილი ასევე თვლის, რომ ამის იურიდიული აღიარება არ მოხდება: — რუსეთი ხომ ვმო-ში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად არ შედის. საუბარი მხოლოდ რუსეთის საერთო საზღვრებს შეეხება, — ამბობს გოგოლაშვილი.

მიუხედავად ამისა, მისი აზრით, არსებობს იმის საფრთხე, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „ფულის გათეთრების ზონები“ გაჩნდება.

— რუსეთი კვლავ ვმო-ს ნორმების დარღვევით, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შემოღებას აპირებს და მათ ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის ზონებზეც კი განაცხადა. ეს ვმო-ს სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, რადგან ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით, ყველა საბაჟო პუნქტი გამჭვირვალე უნდა იყოს, ინფორმაცია დამახინჯების გარეშე უნდა შემოვიდეს და არანაირი ადგილები არ უნდა იყოს, სადაც ვაჭრობის, ტვირთების და მომსახურების კონტროლი შეუძლებელი იქნება, — ამბობს ექსპერტი.

ამავე დროს, მისივე თქმით, რუსეთმა თავისთვის სწორედაც რომ ასეთი წერტილები დაირეზერვა და ეს შეიძლება „საერთაშორისო ვაჭრობისთვის არასასურველ ადგილებად იქცეს“.

— ასეთი ადგილები უზრუნველყოფენ არატრანსპარენტულობას, გაუმჭვირვალობას და სრულიად გაუგებარია, რით ივაჭრებენ იქ, რა პირობებში; აბსოლუტურად მიუღებელია თავისუფალი ვაჭრობის ზონის გამოცხადება ასეთ ადგილებში, რომლებსაც საერთაშორისო ოპერაციების წარმოებაზე არავითარი საერთაშორისო უფლებები არ აქვთ, — ამბობს კახა გოგოლაშვილი.

ექსპერტის თქმით, ეს პრობლემები ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ ვმო-ს, რადგან ისმის კითხვა, რამდენად დაწვრილებით ამოწმებს ორგანიზაცია ინფორმაციას, რომელსაც მომავალი წევრისგან იღებს და რამდენად შეუძლია მას კონტროლი გაუწიოს ვაჭრობის არადისკრიმინაციულ, თავისუფალ რეჟიმს წევრ ქვეყნებს შორის.

თუმცა, დეპუტატი პეტრე მამრაძე თვლის, რომ რუსეთის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ვაჭრობის არატრანსპარენტულობის საკითხი არ არსებობს.

— არსებითად არაფერი შეიცვლება: რუსეთი დღესაც აწარმოებს უკონტროლო ვაჭრობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან და მათ ტერიტორიაზე შეაქვს ყველაფერი, რაც სურს, საბრძოლო რაკეტების ჩათვლით. ასე რომ, არც კანონმდებლობა, არც ფაქტობრივი სიტუაცია არ შეიცვლება, — ამბობს პეტრე მამრაძე რუსულ მედიასთან საუბრისას.

უფრო მეტიც, დეპუტატის აზრით, რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების შემთხვევაში ის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთბებში უფრო კონტროლირებადი გახდება.

ლადო პაპავა ასევე თვლის, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის შემდეგ რუსეთის მოქმედება უფრო პროგნოზირებადი გახდება. — რა თქმა უნდა, ჩვენთვის ყველასთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, უფრო მომგებიანია საქმე გვქონდეს პროგნოზირებად პარტნიორთან, როგორიც უნდა გახდეს რუსეთი, ვმო-ში გაწევრიანების შემთხვევაში. თუმცა, მე როგორც ექსპერტს არ შემიძლია მთავრობას მივცე რეკომენდაცია, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან საზღვარზე საბაჟო კონტროლის შემოღების მოთხოვნა შეცვალონ, — აღნიშნავს პაპავა.

ექსპერტის აზრით, შექმნილ სიტუაციაში საქართველოსთვის ოპტიმალური გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ თავისი საპროტესტო პოზიცია დააფიქსიროს, თუმცა, ის ვერ ხედავს ტრაგედიას იმაში, თუკი რუსეთს მაინც მიიღებენ ვმო-ში, რადგან მაშინ საქართველოსაც პროტესტის მიუხედავად რუსეთთან საქმეების წარმართვა უფრო გაუადვილდება.

— მაგრამ ეს მომენტი — საბაჟო კონტროლის დამყარება — დაფიქსირდება და არავის შეეძლება საქართველოს ორგანიზაციის პრინციპებზე უარის თქმა უსაყვედუროს. მაგრამ თუ რუსეთი ვმო-ს ჩარჩოებში საკუთარ ვალდებულებებს არ შეასრულებს, მაშინ ყველანი მერამდენეჯერ გაიგებენ, თუ ვისთან აქვთ საქმე, — აცხადებს პაპავა.

ამავე დროს ის თვლის, რომ საქართველო ფსოუზე და როკის გვირაბთან საერთაშორისო საბაჟო კონტროლის დამყარების კიდევ ერთ კომპრომისულ ნაბიჯზე შეიძლება წავიდეს. მისი აზრით, დამკვირვებლების დაყენება საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციას შეუძლია.

— სამწუხაროდ, ამას არავინ იხსენებს. მაგრამ რუსეთი საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის წევრი 1992 წლიდანაა, ხოლო საქართველო — 1993 წლიდან. და ამ ორგანიზიაციის ფორმატში უმტკივნეულო გადაწყვეტილებების პოვნა შეიძლება, — დარწმუნებულია ლადო პაპავა.

კახა გოგოლაშვილი თვლის, რომ მინისტრების კონფერენციაზე რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების საკითხს შესაძლოა მკვეთრი წინააღმდეგობა მოჰყვეს.

— პატარა ქვეყნის პრეტენზიების გადალახვა შეუძლებლელია, მაგრამ ეს დიდ რეზონანსს გამოიწვევს, — აცხადებს ექსპერტი. ის აღნიშნავს, რომ ვმო-ში ძალიან ბევრი სხვა პატარა ქვეყანაა, რომლებიც ასევე უფლებაშეზღუდულად ჩათვლიან თავს.

— ანუ, ცხადი გახდება, რომ ვმო-ში მცირე ქვეყნების ინტერესებს არ ითვალისწინებენ. ეს მორიგ არაჯანმთელ დისკუსიებს გამოიწვევს. ამიტომ არ ვთვლი, რუსი პოლიტიკოსები ბოლომდე დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ თითქოს რუსეთს არანაირი პრობლემები არ აქვს და ზაფხულისთვის აშშ-ს და ევროკავშირის დახმარებით ვმო-ში შესვლას შეძლებს, — აცხადებს კახა გოგოლაშვილი.

ექსპერტი-პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე არ გამორიცხავს, რომ რუსეთი შეიძლება კომპრომისებზე წავიდეს, რადგან ვმო-ში შესვლა მას მაღალი ტექნოლოგიებისკენ გზას გაუხსნის, რაც რეფორმირების პროგრამებისთვის აუცილებელია.

— ის ფაქტი, რომ რუსეთმა საქართველოსთან მოლაპარაკებები დაიწყო — ეს უკვე დათმობაა. როგორც გვახსოვს, პრეზიდენტი მედვედევი და პრემიერი პუტინი არაერთხელ აცხადებდნენ, რომ ისინი დღევანდელი ხელმძღვანელობის პირობებში საქართველოსთან არანაირ მოლაპარაკების მაგიდასთან არ დასხდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ბერნში მოლაპარაკებები მაინც შედგა. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთი შეიძლება ახალ დათმობებზე წავიდეს, — აცხადებს არჩილ გეგეშიძე.

## იაპონიის საელჩოში სამძიმრის წიგნი გაიხსნა

იაპონიის საელჩო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2011 წლის 11 მარტს (პარასკევი) იაპონიაში 9 ბალიანი მიწისძვრა მოხდა, რომელსაც განმეორებითი ბიძგები და ცუნამი მოჰყვა.

იაპონიის საელჩო გამოთქვამს დიდ მადლიერებას ქართული საზაგადოების მიმართ, რომელმაც ამ მძიმე დღეებში იაპონელი ხალხის მიმართ თანაგრძნობა და თანადგომა გამოიჩინა.

16 მარტს, 11 საათზე იაპონიის საელჩოში გაიხსნა სამძიმრის წიგნი, რომელშიც ყველა მსურველს მიეცემა საშუალება გამოხატოს მწუხარება. სამძიმრის წიგნი გახსნილი იქნება 23 მარტამდე, 11:00-16:00, შაბათ-კვირის ჩათვლით (კრწანისის ქ. 7 დ).

## კონტროლის პალატა საჯარო სკოლებს შეამოწმებს

კონტროლის პალატა დედაქალაქის 9 და რეგიონების 7 საჯარო სკოლას შეამოწმებს. ინფორმაცია ამის შესახებ კონტროლის პალატამ გუშინ გაავრცელა. შემოწმდება თბილისის №18, №20, №34, №51, №53, №118, №147, №159, №187 საჯარო სკოლები; ქუთაისის №2; ბათუმის №1; რუსთავის №2; მარნეულის №6; გორის №3; ფოთის №5 და ზუგდიდის №1 სკოლები.



კონტროლის პალატის ინფორმაციით, აუდიტი შეისწავლის სკოლების დასაფინანსებლად, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვას, ისე სკოლების შემოსავლების კანონიერებას. საუბარია სკოლების ფართების სარგებლობიდან, ფასიანი წრეებიდან, შემოწირულობებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებულ თანხებზე; სკოლების ადმინისტრაციულ და კომუნალურ ხარჯებს და სხვა არსებით საკითხებს. სრულად შემოწმდება მათი ფინანსური და საქმიანობის სხვა ანგარიშები.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან სკოლების დასაფინანსებლად ყოველწლიურად 330 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება, რაც განათლების სამინისტროს ბიუჯეტის 60%-ს შეადგენს.

შერჩეული 16 სკოლის აუდიტის შედეგად ჩამოყალიბდება სკოლებისათვის დამახასიათებელი ფინანსური რისკების ნუსხა და განხორციელდება სკოლების აუდიტის სტანდარტიზაცია.

როგროც პალატაში აცხადებენ, აღნიშნული მაკონტროლებლებს სკოლების მომეტებული ფინანსური საფრთხეების პრევენციას გაუმარტივებს და საჯარო სკოლების მართვის გააუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

განცხადება გააკეთა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, დიმიტრი შაშკინმა. შაშკინის თქმით, ყველაფერი კეთდება, რათა საზოგადოება დარწმუნდეს საჯარო სკოლებში გამოყოფილი თანხების მიზნობრივად ხარჯვაში.

— განათლების სამინისტრო გააკეთებს ყველაფერს, რათა თითოეული თეთრი, რომელიც გამოყოფილია მთავრობის მიერ, მოხმარდეს ბავშვების განათლებას. ჩვენ ვამზადებთ სკოლების ვაუჩერულ დაფინანსებას და ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ფული იყოს დახარჯული მიზნობრივად, — განაცხადა მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყებამდე განათლების მინისტრმა.

**ინტერპრესნიუსი**

## აბონენტები ნაჩუქარი ენერგოვაუჩერებით ვერ სარგებლობენ

აჭარაში ზოგიერთი აბონენტი ნაჩუქარი ენერგოვაუჩერებით ვერ სარგებლობს, — იუწყება ადგილობრივი ტელეკომპანია TV25. ტელევიზიის ინფორმაციით, სერვის-ცენტრებში ვაუჩერის გამოსაყენებლად მისულ აბონენტებს თანხა ანგარიშზე არ ხვდებათ. გარდა ამისა, მომხმარებლები ენერგოვაუჩერების დარიგების შემდეგ ენერგოკომპანიის მხრიდან მოხმარებული ენერგიის ხელოვნურად გაზრდის ფაქტებზე მიუთითებენ. „ენერგო პრო ჯორჯიაში“ მოხმარებული ენერგიის ხელოვნურად გაზრდის ფაქტებს უარყოფენ.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთში აზარტული თამაშები აიკრძალა

აფხაზეთში აზარტული თამაშები აიკრძალა. ამის შესახებ სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება. დღეიდან ძალაში შევიდა კანონი, რომელიც აზარტული თამაშების ორგანიზებისა და გამართვისთვის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. აიკრძალა როგორც კაზინოების, სათამაშო კლუბების და ტოტალიზატორების ორგანიზება, ასევე სათამაშო აპარატების გამოყენებით და ინტერნეტის სპეციალური პროგრამებით აზარტული თამაშების გამართვა.

ამ სახის კანონდარღვეისთვის სოხუმის რეჟიმმა 5000 რუბლის ოდენობის ჯარიმა, ან ერთიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა დააწესა. ამასთან, დამნაშავეს ტექნიკასა და აღჭურვილობას ჩამოართმევენ. თუ იგივე ქმედებას რამდენიმე პირი ჯგუფურად ჩაიდენს, პატიმრობის ვადა სამიდან ხუთ წლამდე, ჯარიმის ოდენობა კი ერთ მილიონ რუბლამდე იზრდება.

**ინტერპრესნიუსი**

# „მითრიდატე“ ლიბიაში შესრულდება

ეკა ირემაშვილი

რეჟისორ დავით საყვარელიძის მიერ დადგმული საოპერო სპექტაკლი „მითრიდატე — პონტოს მეფე“ საგასტროლოდ იმყოფება. ლიბიაში წარმატებით მიმდინარეობს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-18 საერთაშორისო ფესტივალი. ამ ერთ-ერთ პრესტიჟულ ფესტივალში წლეულს პირველად მონაწილეობს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელის, ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით ჩვენმა ორკესტრმა ფესტივალის აუდიტორიას უკვე წარუდგინა მრავალფეროვანი სიმფონიური პროგრამა — ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონია, ბრამსის მეოთხე სიმფონია, მეორე საფორტეპიანო კონცერტი, „ტრაგიკული უვერტიურა“, ლისტის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, სმეტანას უვერტიურა ოპერიდან „გაყიდული საპატარძლო“, დვორჟაკის „სლავური ცეკვები“, სავიოლონჩელო კონცერტი, პროკოფიევის მეორე საფორტეპიანო კონცერტი. ამ რეპერტუარში ორკესტრმა პარტნიორობა გაუწია პიანისტებს მარტინა ფილიაკს, დენის კოჟუხინს, ვიოლონჩელისტ გოტიე კეპიუშონს. 2 მარტს კონცერტს უდირიჟორა პიტერ ფერანეცმა. 6 მარტიდან კი ფესტივალზე სიმფონიურ რეპერტუარს კამერული მუსიკა ჩაენაცვლა.

ქართველი ხელოვანებისთვის 18 მარტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ქართველი მომღერლები ირინე თაბორიძე, სოფიო ჯანელიძე და ლეგი იმედაშვილი ლიბანის ფილარმონიულ ორკესტრთან, ბეირუთის კონსერვატორიის გუნდთან და ჩინელ ტენორთან იანგ იანგთან ერთად ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით აამღერებენ დვორჟაკის „სტაბატ მატერს“.

ალ ბუსტანის მე-18 საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა კი 17 და 19 მარტს იქნება წარმოდგენილი, როდესაც ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერა „მითრიდატე, პონტოს მეფე“ ფესტივალის ფარგლებში პირველად შესრულდება. სპექტაკლის დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანოა, რეჟისორი — დავით საყვარელიძე, მხატვარი — ნინა კობიაშვილი. „მითრიდატეს“ თბილისური პრემიერა რუსთაველის თეატრში 19, 20 თებერვალს შედგა. ეს სპექტაკლი ოპერისა და ბალეტის თეატრის და რუსთაველის თეატრის ერთობლივი პროექტია. „მითრიდატეში“ იმღერებენ იანგ იანგი, თეონა დვალი, ირინე თაბორიძე, სოფიო გორდელაძე, სოფიო ჯანელიძე, ირაკლი მურჯიკნელი, ნინო ჩაჩუა. საოპერო მომღერლებთან ერთად სპექტაკლში ასევე მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები ნინო კასრაძე, ნინო თარხან-მოურავი, თემიკო ჭიჭინაძე, დავით დარჩია, დავით უფლისაშვილი და თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი.

# გოგი ალექსი-მესხიშვილი ვაჟა-ფშაველას გამოფენას უძღვნის

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მხატვარი გოგი ილექსი-მესხიშვილი 18 მარტს თბილისის ისტორიის მუზეუმში ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ინსტალაციას წარმოადგენს. ხელოვანმა ჩანაფიქრს ვაჟასვე გამონათქვამი „ფიქრი უსაზღვროა, როგორც სამყარო“ მიუსადაგა. პროექტის მხარდამჭერები საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი და შოთა რუსთაველის თეატრი არიან.

გიორგი ალექსი-მესხიშვილის ინსტალაცია „ვაჟა-ფშაველა“ ეძღვნება ვაჟას დაბადებიდან 150 წლისთავს. მხატვრის იდეა ეფუძნება მის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებს, რომლებიც ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით არის დადგმული ვაშინგტონის სინეტიკ თეატრსა და თბილისის შოთა რუსთაველის თეატრში. ამერიკელმა კრიტიკოსებმა 2009 წელს ვაშინგტონის სინეტიკ თეატრში დადგმული წარმოდგენა დეკადის 10 საუკეთესო სპექტაკლის რიცხვში შეტანეს. მხატვარს სხვადასხვა დროს სხვადასხვა თეატრში გაფორმებული აქვს ქართული პოეზიისადმი მიძღვნილი საღამოები.

ინსტალაციაში მხატვრული სახეებით და სცენოგრაფიული საშუალებებით ასახულია ვაჟა-ფშაველას პოეზიის ღრმა ლირიზმი, ფილოსოფიური მასშტაბი და მშვენიერება, რომელსაც ზოგ შემთხვევაში უბედურების და საშინელების განცდა ერწყმის. ვაჟა-ფშაველას პოეზიის მასშტაბის და სიღრმის შესაბამისად, ეს არის ინსტალაცია ზოგადად პოეზიის განცდაზე, შემოქმედების საიდუმლოებაზე. მითოლოგიური ფიგურა როგორც სიურეალისტური ალეგორია გამოხატავს ადამიანის და ბუნების ერთობის იდეას, რომელიც ცენტრალურია ვაჟას პოეზიაში. სპეციალურად ინსტალაციისთვის შეიქმნა მუსიკალური კომპოზიცია, რომლის ავტორია ლონდონის თრინითი-ლაბანის კონსერვატორიის კომპოზიციის ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ჯანიაშვილი. ვაჟა ფშაველას იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 25 მარტამდე გაგრძელდება.

2011 წლის 16-26 ივნისს კი ინსტალაცია სპექტაკლის დიზაინის და სივრცის მე-12 კვადრიენალეზე პრაღაში იქნება წარმოდგენილი.

# ტანია მარია თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ბრაზილიელი მომღერალი ტანია მარია თბილისშია. მან უკვე გახსნა ხმის ჩამწერი კომპანია „ბრავო რეკორდსი“, რომლის დირექტორიც ზაზა შენგელიაა. კომპანიის დამფუძნებელთა შორის არის ლევან ყუბანეიშვილიც. კომპანია საქართველოში მსოფლიო დონის ვარსკვლავების ჩამოყვანაზე იზრუნებს. ამ სტუდიის გახსნაზე საპატიო სტუმრად კი ზაზა შენგელიამ თავისი დიდი ხნის მეგობარი — ტანია მარია მოიწვია. წითელი ლენტი საზეიმოდ გაიჭრა, ცნობილმა მომღერალმა სტუდია დაათვალიერა და როიალზეც დაუკრა.

ბრაზილიელი მუსიკოსი ტანია მარია საქართველოს უკვე მესამედ ესტუმრა. იგი პირველად ჩვენს ქვეყანას 1995 წელს ეწვია. მისი ბოლო კონცერტი კი სამი წლის წინ მოეწყო. ამჯერად მომღერალი თბილისს კვლავ ესტუმრა და ქართველ მსმენელთან შესახვედრად განსაკუთრებულად ემზადება. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილ კონცერტზე ტანია მარიას კვლავაც „ვივა ბრაზილსი“ გაუწევს აკომპანიმენტს. საათნახევრიან კონცერტზე მისული მსმენელი მოისმენს როგორც ძველ და კარგად ნაცნობ, ასევე ახალ კომპოზიციებსაც. ბრაზილიელი მომღერლის მასპინძელი სწორედ კომპანია „ბრავო რეკორდსი“ იქნება, რადგან ეს კონცერტი „ბრავო რეკორდსისთვის“ რიგით პირველი პროექტია. ბრაზილიელი მომღერლის კონცერტის „აფთერ ფართი“ მარჯანოვ ექსპრესშია დაგეგმილი. თბილისის შემდეგ კი ტანია მარიას საფრანგეთში ელოდებიან. დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი კონცერტის ბილეთის ფასი 30-დან 100 ლარამდეა.

# რეზო ჩხეიძე ჩივის

ეკა ირემაშვილი

ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე კინოკომპანია „ბაზელევსის“ წარმომადგენლებს ლევან გაბრიაძესა და თემურ ბეკმამბეტოვს უჩივის და მათ საავტორო უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება, მათ რედაქციაში უკვე მიიღეს



სპეციალური წერილი, რომლის ავტორებიც კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე და ქართველი სცენარისტის სულიკო ჟღენტის ქალიშვილი ოლღა ჟღენტი არიან.

რეზო ჩხეიძე და ოლღა ჟღენტი კომპანია „ბაზელევსს“ საავტორო უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. საქმე ისაა, რომ კინოკომპანია „ბაზელევსი“ ცნობილი ქართული ფილმის „ჯარისკაცის მამის“ რემიექის გადაღებას გეგმავს, რომელიც ფანტასტიკური ჟანრის ფილმი იქნება.

როგორც „ინტერფაქსისთვის“ გაგზავნილ სპეციალურ წერილშია ნათქვამი:

„პოსტსაბჭოთა სივრცეში ბოლო დროს გახშირებული საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტებმა დაგვარწმუნა, გაგვეკეთებინა საჯარო განცხადება, დავიცვათ ფილმი და სცენარი უკანონობისგან, რომლის სამართალმემკვიდრეები ჩვენ ვართ“.

რეზო ჩხეიძე და სცენარის ავტორის ქალიშვილი ოლღა ჟღენტი წერილში განმარტავენ, რომ ჯერ კიდევ 2006 წელს კინოკომპანია „ბაზელევსი“, რომლის დამფუძნებელი ცნობილი პროდიუსერი და რეჟისორი თემურ ბეკმამბეტოვია, „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორის ოჯახს დაუკავშირდა და ფილმის რემეიქისთვის საავტორო უფლებების მიყიდვის მიზნით მოლაპარაკებები დაიწყო. მაშინ მხარეებმა მოლაპარაკება ვერ შეძლეს. აღნიშნული მოლაპარაკება წელს ისევ გაგრძელდა, თუმცა ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდა.

— გვსურს განვაცხადოთ, რომ ჩვენ ყველანაირად ვუკრძალავთ კინოკომპანიას „ჯარისკაცის მამის“ სიუჟეტის გამოყენებას რემეიქისთვის და სხვა ნებისმიერი ადაპტაციისთვის, ფილმის სამართალმემკვიდრეებთან თანხმობის ყოველგვარი იურიდიული გაფორმების გარეშე, — აცხადებენ რეზო ჩხეიძე და ოლღა ჟღენტი.

წერილის ავტორების მიერ ასევე განმარტებულია, თუ რამ გამოიწვია „ბაზელევსისადმი“ მათი უნდობლობა:

— ამ კინოკომპანიისადმი ჩვენი უნდობლობა იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ ბეკმამბეტოვმა, რომელიც მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ფილმის რეჟისორი საქმის კურსში არ ჩააყენა.

განცხადების თანახმად, 2011 წლის თებერვალში ოლღა ჟღენტთან საუბარში ბეკმამბეტოვმა განაცხადა, რომ ფილმის რემეიქის გადასაღებად სცენარის ავტორის ოჯახისგან ზეპირი თანხმობა ითხოვა.

სააგენტო „ინტერფაქსი“ განმარტავს, რომ წერილის მიღებისთანავე კინოკომპანია „ბაზელევსს“ დაუკავშირდა. კომპანიის პრესსამსახურის უფროსმა ირენა ნაზაროვამ განაცხადა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მოლაპარაკებები, რომელმაც შედეგი არ გამოიღო.

— კომპანია „ბაზელევსი“ არ მუშაობს ამ პროექტზე. ჩვენ არ ვაპირებთ „ჯარისკაცის მამის“ რიმეიქის გადაღებას. ასეთი იდეა ნამდვილად იყო, მაგრამ რადგან მოლაპარაკებებმა შედეგი არ გამოიღო, ჩვენმა კომპანიამ ფილმის გადაღება გადაიფიქრა, — განმარტა ირენა ნაზაროვამ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● გარანტიით, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს, შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, კიდურების სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. გადასახადის ოდენობა თითოეული პაციენტისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად: ტელ: 899-97-85-46; 53-44-39, რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

# აკაკი გოგიამ საქართველოს უარი შემოუთვალა

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა, ოთარ გაბელიამ ის 20 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებსაც 23-29 მარტს, ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტის ოთხთა ტურნირზე წაიყვანს. ტურნირში ითამაშებენ საქართველოს, ისრაელის, რუმინეთისა და ალბანეთის 21-წლამდელთა ნაკრებები. ეს იქნება ახალი შესარჩევი ციკლისთვის მზადების პირველი ეტაპი.



გაბელიას თავიდან 36 ფეხბურთელი ჰყავდა სიაში. მათგან ტრავმა აქვთ იტალიური „ემპოლის" ფორვარდ ლევან მჭედლიძეს და ლევან ყენიას, ხოლო ჯანო ანანიძე თემურ ქეცბაიას ნაკრებშია გამოძახებული.

საინტერესო იყო ახალგაზრდულ ნაკრებში გერმანული „ვოლფსბურგის" 19 წლის შემტევი აკაკი გოგიას ნახვა, რომელიც გაბელიას გამოძახებული კი ჰყავდა, მაგრამ ის გუნდს ავსტრიულ ოთხთა ტურნირზე ვერ შეუერთდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიწვევა გაუგზავნა გოგიას და მისგან პასუხიც მიიღო:

„ქალბატონებო და ბატონებო!

დიდი მადლობა მოწვევისთვის. მინდა გითხრათ, რომ ამ ეტაპზე არ შემიძლია საქართველოს ნაკრებში თამაში, რადგან ამჟამად ვარ გერმანიის ნაკრებში. იმედი მაქვს, გამიგებთ. მეგობრული მოკითხვებით აკაკი გოგია".

დაგვეთანხმებით, პასუხი ნათელია.

რაც შეეხება შემადგენლობას, მისი სია ასეთია:

**მეკარეები:** გიორგი მაკარიძე (ლე მანი, საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა (დინამო თ);

**მცველები:** ლევან კაკუბავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე დინამო თ), ნიკა აფაქიძე (ბაია), გიორგი ოთარაშვილი (სპარტაკი), გიორგი კაჭკაჭიშვილი (დინამო ბ), მამუკა კობახიძე (ზესტაფონი);

**ნახევარმცველები:** თორნიკე ოქრიაშვილი (ილიჩევეცი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (ვიძევი, პოლონეთი), თემურ შარაშენიძე (დიორი, უნგრეთი), ირაკლი კვეკვესკირი (პეჩ, უნგრეთი), გიორგი თექთურმანიძე (დინამო თ), ივანე კანდელაკი (უკლუბოდ);

**თავდამსხმელები:** გიორგი ჭანტურია (ვიტესი, ჰოლანდია), ირაკლი შეყილაძე (ემპოლი, იტალია), გიორგი ილურიძე (ანჟი, რუსეთი), ირაკლი ქობალია (ბაია), დავით კაკულია (ოლიმპია, მოლდოვა), დავით ხოჭოლავა (საბურთალო).

**ტურნირის კალენდარი:**

**23 მარტი:** საქართველო-ისრაელი, ალბანეთი-რუმინეთი;

**26 მარტი:** საქართველო-ალბანეთი, რუმინეთი-ისრაელი;

**29 მარტი:** საქართველო-რუმინეთი, ალბანეთი-ისრაელი.

გაბელიას სიაში კიდევ 4 ფეხბურთელი ჰყავს — მეკარე გიორგი ნადირაძე (დინამო თ), მცველი თორნიკე კაკუშაძე (მერანი), ნახევარმცველები — ვაკო ყაზაიშვილი (საბურთალო) და თორნიკე თარხნიშვილი (ტორპედო). თუ შემადგენლობაში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, მაშინ ავსტრიულ შემადგენლობას ეს ოთხეული შეავსებს.

# „ზესტაფონი" სატურნირო ცხრილში ისევ გაიქცა

### სიონი — დინამო 0:2

**ბოლნისი. თეიმურაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი**

*0:1 ხმალაძე (45პ), 0:2 ჯიუსი (89)*

**სიონი:** ბობლიაშვილი, კობაური, ორბელაძე (თარგამაძე 77), ლომაია, ქორიძე, გ. ოქროპირიძე, ნოზაძე, გოგობერიშვილი, ჩირიკაშვილი, ჯიქია, ისიანი (რეხვიაშვილი 67).

**დინამო:** ლორია, ღონღაძე, ჰომოლა, კაკუბავა, ხმალაძე, ჰაჯიბულიჩი, კოშკაძე, რობეტინიო (ჯიუსი 46), კახელიშვილი (კვეკვესკირი 62), არზიანი, იელიჩი (ტატანაშვილი 85).

„დინამოს" ბოლნისში რთული მატჩი ჰქონდა, მაგრამ ეს საკითხი თავად მასპინძლებმა გაუადვილეს. საკმაოდ ნელტემპიანი მატჩის 45-ე წუთზე ქვემოქართლელთა მეკარე მინდია ბობლიაშვილმა უწყინარ სიტუაციაში დინამოელთა ბოსნიელ თავდამსხმელ პეტარ იელიჩს ფეხი ჩაარტყა, რის გამოც მეკარე მოედნიდან გააძევეს, ხოლო „სიონის" კარში პენალტი დაინიშნა, რომელიც გოლად ლევან ხმალაძემ აქცია.

მეორე ტაიმში კაცნაკლულ მეტოქესთან გამარჯვებამდე საქმის მიყვანა „დინამოს" არ გასჭირვებია. მეტიც, მატჩის მიწურულს ხმალაძე-ტატანაშვილი-ჯიუსის კომბინაცია კამერუნელმა ფეხბურთელმა გოლით დაასრულა.

### სამტრედია — ზესტაფონი 0:1

**სამტრედია. ეროსი მანჯგალა ის სახელობის სტადიონი**

*0:1 გელაშვილი (39)*

**სამტრედია:** კეკელიძე, გოგია, ხუმარაშვილი, კირთაძე, ტყეშელაშვილი, ჩხიკვაძე (ბურჯანაძე 46), ცხადაია, ლომაშვილი, მიქაბერიძე, ხვადაგიანი (რუხაია 46), გოგიშვილი (იმედაძე 60)

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ბენაშვილი, ხიდეშელი, გ.ონიანი, ელიავა, დაუშვილი, გრიგალაშვილი (გორგიაშვილი 65), ძარია, აფციაური, დვალი (წინამძღვრიშვილი 78), გელაშვილი (ბაბუნაშვილი 72)

ჩემპიონატის ლიდერმა სამტრედიაში ნიკოლოზ გელაშვილის შესანიშნავი გოლის წყალობით იმარჯვა და ცხრილში ლიდერობა განიმტკიცა. ამის მიზეზი კი მათი უშუალო კონკურენტის წაფორხილებაა.

### ვიტ ჯორჯია — ტორპედო 2:1

**თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი**

*1:0 კორიფაძე (6), 2:0 ჩიმაკაძე (10), 2:1 მეგრელაძე (73)*

ვეტერინარებმა 10 წუთში სოლიდური ფორა მიირეს, რასაც იმერლებმა 73-ე წუტზე მეგრელაძის გატანილი გოლით უპასუხეს, თუმცა, მეტი ვერაფერი მოახერხეს.

### ბაია — სპარტაკი 2:0

**ზუგდიდი. გულია თუთბერი ის სახელობის სტადიონი**

*1:0 ქობალია (13), აფაქიძე (28)*

მასპინძლებმა პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს და მე-5 ადგილზე გადაინაცვლეს.

### კოლხეთი — ოლიმპი 0:0

**ფოთი. ფაზისის სტადიონი**

ფოტელებმა ზედიზედ მეორე სენსაცია გამოაცხვეს. თუ წინა ტურში ლიდერ „ზესტაფონს" დააკარგიეს ქულები, ახლა საქმე უკვე მათ გაუკეთეს და უგოლოდ იმერელთა მდევარ „ოლიმპს" დაშორდნენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 25 | 17 | 3 | 5 | 51:14 | 54 |
| 2.ოლიმპი | 25 | 15 | 6 | 4 | 36:19 | 51 |
| 3.დინამო | 24 | 13 | 7 | 4 | 34:12 | 46 |
| 4.ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 2 | 11 | 28:29 | 38 |
| 5.ბაია | 24 | 9 | 5 | 10 | 24:31 | 32 |
| 6.ტორპედო | 25 | 8 | 8 | 9 | 15:15 | 32 |
| 7.სიონი | 25 | 6 | 7 | 12 | 16:32 | 25 |
| 8.კოლხეთი | 25 | 6 | 6 | 13 | 16:36 | 24 |
| 9.სპარტაკი | 25 | 6 | 5 | 14 | 24:30 | 23 |
| 10.სამტრედია | 25 | 5 | 5 | 15 | 20:46 | 20 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 13 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 11-11, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 10.

# „ინტერი" ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძვის

### ბაიერნი — ინტერი 2-3

*0-1 ეტოო (4), 1-1 გომესი (21), 2-1 მიულერი (31), 2-2 სნეიდერი (63), 2-3 პანდევი (88)*

**ბაიერნი:** კრაფტი, ბრენო (კრონსი 90), ვან ბუიტენი (ბადშტუბერი 70), ლამი, პრანიჩი, გუსტავო, შვაინშტაიგერი, მიულერი, რობენი (ალტინტოპი 68), რიბერი, გომესი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, რანოკია, მოტა, ლუსიო, კივუ (ნაგატომო 87), მაიკონი, კამბიასო, სნეიდერი, სტანკოვიჩი (კოუტინიო 51), ეტოო, პანდევი (ხარჯა 90)

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში 1992 წლის შემდეგ პირველად მოხდა, როდესაც გუნდმა პლეი-ოფის პირველი მატჩი საკუთარ კედლებში დათმო, მაგრამ ორრაუნდიანი ჯახი მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მიუნხენში გამართულ შეხვედრაში მასპინძლებს წაგების საშიშროება არ ჰქონდათ. მართალია, ანგარიში მე-4 წუთზე გაიხსნა, როდესაც პანდევის გადაცემის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა ეტოომ კრაფტს ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა და „ინტერი" დაწინაურდა. ორმატჩიან დაპირისპირებაში წინ გასვლა „ბაიერნმა" 15 წუთში მოახერხა. 21-ე წუთზე, როგორც მილანში, შეტევის მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე რობენმა საჯარიმოს გარედან დაარტყა, სეზარმა ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და გომესს გატანის საშუალება მისცა.

გავიდა ზუსტად 10 წუთი და მიუნხენელებმა კვლავ მეტოქის დახმარებით გაიტანეს გოლი. უკვე შეტევის მარცხენა ფლანგზე მოთამაშე რობენი საჯარიმოს ხაზთან მდგომ გომესს უკეთებდა გადაცემას. ჰოლანდიელის პასი რომ ადრესატამდე მისულიყო, გერმანელ თავდამსხმელს ბურთის ბრძოლაში მიღება მოუწევდა, მაგრამ ბურთს მიმართულება მოტამ შეუცვალა, რის შემდეგაც, მეკარესთან პირისპირ მიულერი გავიდა და კარგი დარტყმით, „ბაიერნის" უპირატესობა სოლიდური გახადა.

მიულერის გოლის შემდეგ, მილანელები თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ 2 უპასუხო გოლის გატანა სჭირდებოდათ იმ მატჩში, რომელშიც თვალსაჩინო უპირატესობას მეტოქე ფლობდა. მიუნხენელებმა არაერთი სახიფათო იერიში განახორციელეს და ვან გაალის შეგირდებს კიდევ მართებდათ გატანა, მაგრამ სეზარს მეტი გოლი აღარ გაუშვია, მისმა თანაგუნდელებმა კი, საჭირო რაოდენობის ზუსტი დარტყმა განახორციელეს. 63-ე წუთზე, □„ბაიერნის"□ საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან მყოფმა ეტოომ სნეიდერს მისცა პასი, ამ უკანასკნელმა კი ზუსტი დარტყმით, ბურთი მეკარისგან შორეულ ქვედა კუთხეში მოათავსა. 88-ე წუთზე, □„ინტერის"□ კამერუნელმა ფეხბურთელმა ბურთი მეტოქის საჯარიმოში თავად მოიპოვა, ერთი მეტოქე ჩამოიშორა და საჯარიმოში შეჭრილ პანდევს, პირველი გოლის ასისტენტობის გამო, □„ვალი დაუბრუნა". მაკედონიელმა კრაფტს აუღებელი დაურტყა, რის შედეგადაც, ლიგის ჩემპიონმა შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება მოიპოვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სამუელ ეტოო

კამერუნელმა თავდამსხმელმა საუცხოო ფორმა აკრიფა. მეტიც, ჩემპიონთა ლიგაზე „ინტერის" მიერ გატანილი 15 გოლიდან 8 თავად გაიტანა, ხოლო 5-ჯერ თანაგუნდელებს გაატანია. „ბაიერნთან" მატჩშიც მის ანგარიშზე გოლი და 2 საგოლე პასია.

### მანჩესტერი — მარსელი 2-1 (1-0)

*1-0, 2-0 ერნანდესი (5, 75), 2-1 ბრაუნი (82 ს.კ)*

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ევრა, ბრაუნი, გიგზი, სმოლინგი, ერნანდესი, ოში (რაფაელი 37, ფაბიო 70), კერიკი, სქოულზი, ნანი (ვალენსია 62), რუნი.

**მარსელი:** მანდანდა, ტაივო, მბია (აიევი 80), დიავარა, ჰაინცე, ფანი, შეირუ, ჟენასი (ვალბუენა 69), ლუჩო გონსალესი, ანდრე, რემი

პირველ შეხვედრაში, საფრანგეთში დაფიქსირებული ფრე, „მანჩესტერს" მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ „წითელ ეშმაკებს" მნიშვნელოვანი უპირატესობა მაინც ჰქონდათ და მთავარი მისი გამოყენება იყო. ბევრისთვის მოულოდნელად, ბერბატოვის ნაცვლად, ძირითად შემადგენლობაში, ფერგიუსონმა ხავიერ ერნანდესი დააყენა და როგორც გაირკვა, შოტლანდიელი სპეციალისტი არც შემცდარა. „მანჩესტერის" მე-14 ნომერმა 2 გოლი გაიტანა და თამაშის გმირადაც სწორედ ის იქცა.

ახალგაზრდა მექსიკელმა ანგარიში მე-5 წუთზე გახსნა. მარცხენა ფლანგიდან შეტევის დროს, გიგზმა საჯარიმოში მყოფი რუნი მონახა, ინგლისელმა თავდამსხმელმა კი კარის გასწვრივ გააკეთა გადაცემა და ცარიელი კარის წინ მარტოდმარტო დარჩენილ ერნანდესს გაატანინა. სტუმრებს ანგარიშის გათანაბრება მალევე შეეძლოთ, მაგრამ ვან დერ სართან ფაქტობრივად პირისპირ დარჩენილმა ჟინიაკმა ბურთი კარს ზემოდან გადააცილა.

გასაკვირია, მაგრამ ტაიმის დარჩენილ ნაწილში, სახიფათო მომენტებს უფრო ხშირად სტუმრები ქმნიდნენ. მთელი მატჩის განმავლობაში, ცუდად გამოიყურებოდა მანჩესტერელთა დაცვა. განსაკუთრებით ეს ვესლი ბრაუნზე ითქმის და „წითელი ეშმაკები" რამდენჯერმე გადაურჩნენ გოლის გაშვებას. არადა, „მარსელს" პირველივე ტაიმში რომ გაეთანაბრებია, არავინ იცის რა მოხდებოდა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში, „მანჩესტერი" მეტოქის საჯარიმოს დიდი ძალებით მიაწყდა და მანდანდას კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ფრანგებმა მეტოქის შეტევების ამ ტალღას გაუძლეს და ნელ-ნელა, თავადაც დაიწყეს გოლის გატანაზე ფიქრი.

იმ დროს, როდესაც „მარსელი" „მანჩესტერის" კარს უფრო და უფრო ხშირად უტევდა, ინგლისელებმა სწორედ მაშინ გაიტანეს. 75-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგზე ძალიან კარგად ითამაშა ვალენსიამ, რომელმაც ბურთი გიგზს დაუტოვა, რომელმაც თავის მხრივ კარის გასწვრივ გაკეთებული პასით, ერნანდესს მე-2 გოლი გაატანინა.

მიუხედავად იმისა, რომ „მარსელს" 2 გოლის გატანა სჭირდებოდა, ფრანგები არ დანებდნენ და ბოლომდე იბრძოლეს. 82-ე წუთზე, სტუმრებმა კუთხური მოაწოდეს, რის შემდეგაც, მთელი მატჩის განმავლობაში ძალიან ცუდად მოთამაშე ბრაუნმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. მართალია, დეშამის შეგირდებმა მე-2 გოლის გატანაც სცადეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს და გათამაშებას გამოეთიშნენ.

„მარსელის" ძლევით, ფერგიუსონმა ჩემპიონთა ლიგაზე მე-100 მატჩი მოიგო, ხოლო „მანჩესტერმა", ევროტურნირებზე, საკუთარ კედლებში, ასევე მეასედ იმარჯვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ხავიერ ერნანდესი

„ჩიჩარიტოდან" ამ მატჩში ბევრს არ ითხოვდნენ. მანჩესტერელთა იმედები უფრო სხვა ფეხბურთელებზე მოდიოდა, მაგრამ მექსიკელმა ყველაფერი გააკეთა გმირი ყოფილიყო. „წითელი ეშმაკები" შემდეგ ეტაპზე მისი გოლების წყალობით გავიდნენ.

# მზადება რუსეთისთვის

19 მარტს, სოჭში, „ბორჯღალოსნებს" პრინციპული მეტოქის, რუსეთის წინააღმდეგ ელის შეხვედრა, რომელიც სატურნირო თვალსაზრისით ვეღარაფერს შეცვლის, თუმცა, ამ მატჩის მნიშვნელობა ყველა ქართველისთვის ცნობილია და ის ნებისმიერ შემთხვევაში, ნებისმიერ დონეზე, სატურნირო მნიშვნელობის ფარგლებს სცილდება.

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, რომელმაც 2011 წლის „ერთა თასი"□ ვადამდე მოიპოვა, დასკვნითი შეხვედრისთვის მზადება განაახლა. რიჩი დიქსონმა, იმ შემადგენლობიდან, რომლებიც რუმინეთის წინააღმდეგ განაცხადში იყვნენ, მხოლოდ გია ლაბაძე მოისაკლისა, რომელმაც □„მუხის ფოთლებთან"□ გამართული მატჩის პირველი ნახევრის მიწურულს, თავში ძლიერი დარტყმა მიიღო. ვეტერანი მესამეხაზელი სერიოზულ დაზიანებას გადაურჩა, თუმცა, რუსეთის წინააღმდეგ მაინც ვერ ითამაშებს. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში მის ადგილს გიორგი ჩხაიძე დაიკავებს, რომელმაც რუმინეთის წინააღმდეგ შეცვლაზე ითამაშა.

წინა მატჩისგან განსხვავებით, ძირითად შემადგენლობაში ძირეული ცვლილებები ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუმცა, შეკრებაზე მყოფი მორაგბეები კვლავ გუნდთან ერთად არიან და ინტენსიურად ემზადებიან. უფრო მეტიც, მათ ფრანგული „ბრივიდან" ვასილ კაკოვინი დაემატა და საჭიროების შემთხვევაში მწვრთნელებს მისი იმედიც ექნებათ. სამშაბათის ვარჯიშმა დაახლოებით საათ-ნახევარი გასტანა. გუშინ ნაკრების წევრებს დასვენების დღე ჰქონდათ, ხუთშაბათს კვლავ ღია ვარჯიშია დანიშნული, რის შემდეგაც „ბორჯღალოსანთა" 22-კაციანი შემადგენლობა დასახელდება, ხოლო პარასკევს, დილით, 8 საათზე ნაკრები სოჭში გაემგზავრება, სადაც იმავე დღეს კაპიტნის ვარჯიში გაიმართება, ხოლო შაბათს შეხვედრაა დანიშნული.

**გია ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— მთლიანი შეჯამება რუსეთთან შეხვედრის შემდეგ მოხდება, აქამდე ნაჩვენები შეხვედრით კი, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და ნელ-ნელა იხვეწება ის თამაში, რასაც მწვრთნელები ბიჭებისგან ითხოვენ. გამოჩნდა სუსტი და ძლიერი მხარეები, დავინახეთ, თუ რაზეა სამუშაო. პარალელურად, იმ ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა ხდება, რომელმაც მსოფლიო თასზე უნდა ითამაშოს. თასის მოგება სასიამოვნოა, მაგრამ ერთი შეხვედრა დაგვრჩა, ძალიან პრინციპული თამაში და საბოლოო კმაყოფილებაზე, ან უკმაყოფილებაზე, სჯობს რუსეთთან მატჩის შემდეგ ვისაუბროთ. ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, რუსეთთან თამაში ყოველთვის ცალკე მდგომი, განსაკუთრებული მატჩია. სპორტული თვალსაზრისით არა, მაგრამ სწორედ იმ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ქართველებისთვის ეს თამაში ძალიან მნიშვნელოვანია. რუსეთის ნაკრები აუცილებლად უნდა დავამარცხოთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ. ჩემპიონები გავხდით და ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ამოცანა შესრულებულია, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, დაგვრჩა ერთი პრინციპული თამაში და მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ შევაჯამებთ წლის განვლილ მონაკვეთს.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ბაიერნი-ინტერი .......... 2:3
მანჩესტერი-მარსელი .......... 2:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-ქოვენთრი .......... 2:2
იფსვიჩი-უტფორდი .......... 0:3
სკანთორპი-პრესტონი .......... 0:3

**პოლონეთი. თასი**

ლეგია-რუხი .......... 2:0

**ფინეთი. თასი**

მარიეჰამნი-მიუპა .......... 4:0

**აშშ. მლს**

სიეტლი-ლოს ანჯელესი .......... 0:1

**არგენტინა. კლაუსურა**

ურაკანი-ქილმესი .......... 2:1
ინდეპენდიენტე-ოლდ ბოიზი .......... 4:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

ატლანტა-მილუოკი .......... 110:85
ინდიანა-ნიუ იორკი .......... 119:117
ჩიკაგო-ვაშინგტონი .......... 98:79
პორტლენდი-დალასი .......... 104:101

**ჩოგბურთი**

**ატპ. ინდიანა უელსი. პირი**

ჯოკოვიჩი-გულბისი .......... 6:0;6:1
ტროიცკი-ლოდრა .......... 6:3;6:3
ჩილიჩი-ვავრინკა .......... 5:7;3:6
გასკე-მელცერი .......... 6:1;6:3
ფედერერი-ჩელა .......... 6:0;6:2
რაონიცი-ჰარისონი .......... 6:7;6:4;4:6
როდიკი-ისნერი .......... 7:5;6:2

**ვტა. ინდიანა უელსი. პირი**

კლაისტერსი-ბარტოლი .......... 6:3;1:6;0:6
სკიავონე-პირი .......... 4:6;6:3;6:7
ვიკმაიერი-ციბულკოვა .......... 7:5;7:5
ვოზნიაცკი-კლეიბანოვა .......... 2:6;6:3;6:1
პენგი-პეტროვა .......... 6:4;5:7;6:3
შარაპოვა-საფინა .......... 6:2;6:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

კოლამბუსი-ბოსტონი .......... 2:2(0:1ბ)
მონრეალი-ვაშინგტონი .......... 2:4
ნიუ ჯერსი-ატლანტა .......... 4:2
რეინჯერსი-აილენდერსი .......... 6:3
ბუფალო-კაროლინა .......... 0:1
ოტავა-პიტსბურგი .......... 1:5
ფლორიდა-ფილადელფია .......... 2:3
ნეშვილი-ლოს ანჯელესი .......... 2:4
დალასი-სან ხოსე .......... 3:6
კალგარი-ფინიქსი .......... 3:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კადაფის ერთგული ჯარები ბენგაზისაკენ მიიწევენ

ლიბიის ოპოზიციის წარმომადგენლები უარყოფენ გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, თითქოს კადაფის ერთგულმა ჯარებმა ქალაქი აჯდაბია, ბენგაზისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ბოლო ქალაქი დაიკავეს.

ბენგაზიში ამბოხებულთა შტაბი მდებარეობს.

ბიბისის ჟურნალისტების ინფორმაციით, მასირებული საჰაერო დაბომბვის შემდეგ სამდაფის მომხრეები ამტკიცებენ, რომ სამთავრობო ჯარებმა აჯდაბიას გაკონტროლება შეძლეს, თუმცა, მეამბოხეები აცხადებენ, რომ მათ სამთავრობო ჯარების მოგერიება შეძლეს.

ლიბიის გარდამავალი ეროვნული საბჭოს წარმომადგენლების თქმით, იმ შემთხვევაში თუკი საერთაშორისო საზოგადოებრიობა კონფლიქტში არ ჩაერევა, მათ „სისხლიანი



თავრობო ჯარები იერიშზე გადავიდნენ.

იმავდროულად, გაეროში კვლავაც გრძელდება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ლიბანის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის განხილვა, რომელიც ლიბიაში ფრენების აკრძალვას გულისხმობს.

ცალკეული ქვეყნები, კერძოდ, აშშ, რუსეთი, გერმანია და ჩინეთი ამ ზომის მიზანშეწონილობაში დარწმუნებული არ არიან. არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენლებმა ლიბიის თავზე ფრენისათვის აკრძალული ზონის შექმნის იდეას მხარი დაუჭირეს, მაგრამ დიდი რვიანის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა პარიზში გამართული შეხვედრის დროს ამ საკითხთან დაკავშირებით საერთო პოზიციის მიღწევა ვერ მოახერხეს.

პოლკოვნიკ მუამარ კასასაკლაო“ ემუქრებათ.

საბჭოს წარმომადგენლის, ჯალალ გალალის თქმით, კადაფი მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვას დაიწყებს და ყველას გაანადგურებს.

მუამარ კადაფი ამასობაში სატელევიზიო გამოსვლაში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს დაესხა თავს. მისი თქმით, ძველი ბრიტანეთისაგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა და გაუგებარია, თუ რატომ მოუწოდებს ბრიტანეთი ლიბიაზე თავდასხმისაკენ, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთში ლიბიასთან საერთო საზღვარი არ გააჩნია.

ბენგაზიში ეკრანს, სადაც კადაფის გამოსვლის ტრანსლირება ხდებოდა, ფეხსაცმელები დაუშინეს და არაბული სამყაროსათვის ტრადიციული ამ გზით კადაფისადმი თავიანთი ზიზღი გამოხატეს.

გ.თ.

# იაპონიის იმპერატორმა კატასტროფას უპრეცედენტო უწოდა

იაპონიის იმპერატორმა აკიჰიტომ ერისადმი უპრეცედენტო მიმართვაში 11 მარტის მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად ათასობით ადამიანის დაღუპვასთან დაკავშირებით თავისი მწუხარება გამოხატა.



როგორც დაღუპულთა რიცხვის შეფასებები მოწმობს, იაპონიას თავსდამტყდარი უბედურება მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პეროდის ყველაზე მასშტაბურ კატასტროფად შეიძლება იქცეს.

ჯერჯერობით ოფიციალურად დადასტურებულია 3771 ადამიანის სიკვდილი. დაახლოებით 8 ათასი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

უახლოეს მომავალში იაპონიის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში ყინვა და თოვაა მოსალოდნელი, რამაც გადარჩენილთა მდგომარეობა შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს.

შეშფოთებას იწვევს აგრეთვე ფუკუსიმა 1 ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი აფეთქებები, რაც რეაქტორის გაცივების სისტემის ავარიით არის გამოწვეული.

იაპონელი მონარქის თქმით, დაღუპულთა რიცხვი დღითიდღე მატულობს, არავინ იცის, თუ რამდენი ადამიანი იმსხვერპლა სტიქიამ და მონარქი ყველას გადასარჩენად ლოცულობს.

ტრადიციის თანახმად, იაპონიის მონარქი აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით საჯარო გამოსვლებისაგნ თავს იკავეს ხოლმე. ბოლო დროს იგი ტელეეკრანებზე მხოლოდ იმპერატორის დაბადების დღისა და უცხოურ ვიზიტებთან დაკავშირებით ჩნდებოდა. ტელემიმართვა ყველასთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

1995 წლის კობეს გამანადგურებელი მიწისძვრის შემდეგაც კი იმპერატორი მხოლოდ წერილობითი მიმართვით შემოიფარგლა.

ამჯერად აკიჰიტომ ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ ავარიასთან დაკავშირებით ღრმა შეშფოთება გამოხატა. მისი თქმით, ვითარების პროგნოზირება შეუძლებელია.

იაპონია სეისმური თვალსაზრისით უკიდურესად სახიფათო ზონასი მდებარეობს, საზოგადოება შეგუებულია ხშირი მიწისძვრების პირობებში ცხოვრებას. აღსანიშნავია, რომ აქ კვლავაც გრძელდება 11 მარტის მთავარი მიწისძვრის მომყოლი ბიძგები. ასე მაგალითად, ოთხშაბათს ღამით 6-ბალიანი ბიძგი დაფიქსირდა.

სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი ასეულობით მილიარდ დოლარს აღწევს, ხოლო დაღუპულთა რიცხვით 11 მარტის მიწისძვრამ კობეს მიწისძვრას შეიძლება გადააჭარბოს. მაშინ 6400 ადამიანი დაიღუპა.

ისტორიული თვალსაზრით, იაპონიაში ყველაზე გამანადგურებელ სეისმურ კატაკლიზმად 1923 წელს ტოკიოში მომხდარი მიწისძვრა ითვლება. მაშინ 142 ათასი ადამიანი დაიღუპა.

ფუკუსიმა 1 ატომურ ელექტროსადგურში რადიაციის ყველაზე მაღალი დონე მესამე რეაქტორში აღინიშნება. იაპონიის ტელეკომპანია ენეიჩქეიმ აჩვენა კადრები, თუ როგორ ეზიდება „ჩინუკის“ ტიპის სამხედრო ვერტმფრენი ზღვის წყალს და მას ატომური ელექტროსადგურის მესამე რეაქტორში ასხამს.

რადიაციის მაღალი დონის გამო და ეკიპაჟის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ვერტმფრენი რეაქტორის თავზე დიდხანს არ „ეკიდებოდა“ და ამის ნაცვლად რამდენჯერმე მიფრინდა რეაქტორთან.

ვერტმფრენებით რეაქტორს რადიაციის დონის შემცირებამდე აგრილებდნენ, შემდეგ ლიკვიდატორებმა მუსაბა განაახლეს.

არსებული ინფორმაციის თანახმად, პრობლემები აღენიშნება ატომური ელექტროსადგურის ექვსივე რეაქტორს. პირველ, მეორე და მესამე რეაქტორებზე აფეთქებები მოხდა, სავარაუდოდ, აქ წყალბადი აფეთქდა. მეოთხე რეაქტორზე ხანძარი მოხდა, მეხუთე და მეექვსე რექატორების ტემპერატურა მატულობს, თუმცა, ისინი ჯერჯერობით სპეციალისტების ყველაზე ნაკლებ შეშფოთებას იწვევენ.

საფრანგეთის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტოს ინფორმაციით, სამ რეაქტორზე საწვავი ღეროების ნაწილობრივი გალღობა და აქტიური ზონის გარსის დარღვევა მოხდა, რამაც რადიოაქტივობის გაჟონვა გამოიწვია.

თითოეული რეაქტორი 10-20 სმ სისქის მაღალი სიმტკიცის ფოლადის გარსშია ჩასმული, რაც რადიაციის გაჟონვისაგან პირველ და მთავარ დაცვას წარმოადგენს. თავად კონტეინერი დამატებითი დაცვის მიზნით რკინაბეტონის ჰერმეტულ კორპუსშია ჩასმული.

სააგენტო კიოდოს ცნობით, იაპონია სამხრეთ კორეაში ბორის მჟავის მსხვილი პარტიის შეძენას აპირებს. ამ ნივთიერებას რეაქტორებში ბირთვული რეაქციის შესანელებლად იყენებენ. საკუთარი მარაგი იაპონიამ დიდი ხანია ამოწურა.

ბიბისის ინფორმაციით, რადიოაქტიურობის დონემ ტოკიოშიც მოიმატა, თუმცა, ჯერჯერობით უსაფრთხო ფარგლებს არ სცილდება.

მრავალმა ქვეყანამ თავის მოქალაქეებს იაპონიაში გამგზავრებისაგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდა და ზოგიერთმა მათი ევაკუაციაც კი გამოაცხადა.

გ.თ.

# იაპონიის ტრაგედიას აქცია-საღამო მიეძღვნება

*ეკა ირემაშვილი*

„საქართველოს სოს ბავშვთა სოფელი“ და კაფე „10ა“ ერთობლივ აქცია-საღამოს გამართავენ, რომელიც იაპონიაში დატრიალებულ ტრაგედიას მიეძღვნება. ღონისძიება სახელწოდებით „სოს იაპონია“ „10ა“-ში გაიმართება. მისი მიზანია გამოხატოს საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა იაპონიის მიმართ. საღამოზე შემოსული თანხა გადაირიცხება სპეციალურ ფონდში იაპონელი ბავშვების დასახმარებლად.

კაფე „10ა“-ში შეკრებილი საზოგადოება ნახავს იშვიათ ვიდეოჩანაწერს ჯგუფისა „ეართ, ვინდ ენდ ფაიარ“. საღამოზე ჯგუფის მიერ იაპონიაში გამართული კონცერტი იქნება ნაჩვენები. აქციის მსვლელობისას საქველმოქმედო მიზნით, გაიყიდება მაისურები, რომელზეც გამოსახული იქნება იაპონიის დროშა, დამზადდება სპეციალური კოქტეილი სახელწოდებით „სოს იაპონია“. საღამო სიმბოლურად ჰაერში წითელი ფერის ბუშტების გაშვებით დაგვირგვინდება.

იაპონიის ტრაგედიის მსხვერპლთა თანაგრძნობის გამოსახატად, იაპონიის საელჩომ უკვე გახსნა სამძიმრის წიგნი. იაპონელ ხალხს თანაგრძნობა უკვე გამოუცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. მან იაპონიის ელჩს მასაიოში კამოჰარას სამძიმარი პირადად გამოუცხადა. იაპონელ ხალხს სამძიმარი გამოუცხადა საქართველოში მოქმედმა 70-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამაც. იაპონიის საელჩოსთან ხალხის ნაკადი ამ დრომდე არ წყდება. საქართველოს მოქალაქეები იაპონიის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს სამძიმარს უცხადებენ და მწუხარებას გამოთქვამენ იმ ტრაგედიის გამო, რაც სტიქიის შედეგად იაპონიას დაატყდა თავს. იაპონიის საელჩოსთან შეკრებილი ადამიანები მზად არიან, თუკი საჭირო გახდა, იაპონიაში აღდგენით სამუშაოებშიც მიიღონ მონაწილეობა.

სამძიმრის წიგნში მწუხარების გამოხატვის საშუალება ყველა მსურველს ექნება. სამძიმრის წიგნი იაპონიის საელჩოში 23 მარტამდე იქნება გახსნილი.

## რა შთაბეჭდილებას ახდენთ ადამიანებზე

ტესტი



***1. როდის გრძნობთ თავს ყველაზე უფრო კარგად?***

ა) დილით, გამოღვიძების შემდეგ (1); ბ) სადილის შემდეგ (2); გ) ძილის წინ (3).

***2. ჩვეულებრივ, როგორ დადიხართ?***

ა) საკმაოდ სწრაფად (3); ბ) არცთუ ისე სწრაფად (2); გ) ძალიან ნელა (1).

***3. ადამიანებთან საუბრისას დგახართ:***

ა) გადაჯვარედინებული ხელებით (2); ბ) ხელში სიგარეტის დაჭერას ამჯობინებთ (1); გ) ყურს ან ყელს ეხებით, ან თმაზე ხელს ისვამთ (3).

***4. როდესაც დასვენება გსურთ, სკამზე დაჯდომისას:***

ა) ფეხს ფეხზე იდებთ (3); ბ) ფეხები ერთად გაქვთ (2); გ) ერთს ან ორივე ფეხს სკამის ქვეშ იკეცავთ (1).

***5. როდესაც რამე სასაცილოდ გეჩვენებათ:***

ა) შეუმჩნევლად იღიმით (1); ბ) იცინით, ოღონდ არა ხმამაღლა (2); გ) სიცილით ჩაბჟირდებით (3).

***6. წვეულებაზე მისული:***

ა) ცდილობთ, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოხვდეთ (3); ბ) მშვიდად ეძებთ სტუმრებს შორის ნაცნობ ადამიანს (2); გ) ელოდებით, სანამ ვინმე შეგამჩნევთ (1).

***7. რაღაც მნიშვნელოვანი საქმის კეთებას ჩამოგაშორეს, რომელიც ყურადღების კონცენტრირებას მოითხოვს:***

ა) გახარებთ შესვენების შესაძლებლობა (3); ბ) ღიზიანდებით (1); გ) მშვიდად რეაგირებთ (2).

***8. საწოლში იძინებთ პოზაში:***

ა) ზურგზე (3); ბ) გვერდზე (2); გ) თავზე გადაფარებული საბნით (1).

***9. სიზმარში ხშირად:***

ა) ვიღაცას ეჩხუბებით (2); ბ) საკუთარ თავს ან სხვებს შიშველს ხედავთ (3); გ) სასიამოვნო სიზმარს ხედავთ (1).

**პასუხები**

**9-15 ქულა:** თქვენ სხვის თვალში მორცხვი, ნერვული არსება ხართ, რომელიც ამჯობინებს, არასდროს მიიღოს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობას სულ სხვას აკისრებს. გესაჭიროებათ ადამიანი, რომელიც რთულ სიტუაციებში თქვენზე იზრუნებს.

**16-21 ქულა:** თქვენ კეთილგონიერი და წინდახედული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ჭკვიანი და ნიჭიერი ბრძანდებით. თქვენსავით ადვილად მეგობრებს ვერავინ იჩენს და ვინც კარგად გიცნობთ, იცის თქვენი მეგობრობის ყადრი.

**22-27 ქულა:** სხვის თვალში თქვენ ხართ ადამიანი, ვისაც შეუძლია საკუთარი თავის დამორჩილება და პრობლემებთან დამოუკიდებლად გამკლავება. ცოტა ეგოცენტრული, პატივმოყვარე და ძალაუფლების მოყვარული ბრძანდებით.

გ. თ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საბურთალო ჩოგნის ძველი ქართული სახელწოდება; 2. მთიდან დაშვებული თოვლის დიდი მასა; 3. პოეტის შთაგონების წყარო; 5. საორიენტაციო, სასიგნალო ნაგებობა ზღვის სანაპიროზე; 6. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 7. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 11. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 13. მდინარე კახეთში; 14. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; 15. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 16. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 17. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 19. დროის დიდი მონაკვეთი; 20. ჩაის ბუჩქის ნორჩი, ახლადამოსული ყლორტი.

**თარაზულად:** 1. საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა სამხედრო ნაწილში; 4. პროფესიონალი მოსამსახურე, გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 8. დიდი ფართობის ვენახი; 9. ეგრისის მთავარი მე-6 საუკუნეში; 10. ესპანური გრძელი, დასაკეცი ჯიბის დანა; 12. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 14. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 15. შემოსავლიანი თანამდებობა „თბილი ადგილი“; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა; 18. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 23. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 23. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფაგი; 2. ხიხვი; 3. ნიასა; 5. ჩალხია; 6. ტრომბონი; 9. ტროპოსფერო; 10. ბაქშტაინი; 11. ატკინსონი; 14. ფხა; 16. ბერიკა; 18. აზია.

**თარაზულად:** 1. ფანხიო; 4. ბაჩალეტი; 7. ახმეტა; 8. სადახლო; 12. ნორმა; 13. ეფენდი; 15. იშხანი; 17. უფა; 19. ბრონტოზავრი; 20. ზონდი; 21. იამაჰა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თარჩია; 2. უწერა; 3. ლალი; 5. ვაშაში; 6. წნევა; 7. ბომარშე; 11. ქორქია; 13. ცეილონი; 14. მედეა; 15. პორტალი; 16. გურმანი; 17. ამპერი; 19. იარდი; 20. კოლო.

**თარაზულად:** 1. თხუნელა; 4. ცეკვა; 8. ლაოსი; 9. შალე; 10. ჩარექი; 12. ხალვაში; 14. მაქო; 15. პეკინესი; 16. გადია; 18. შატლი; 21. პერიე; 22. ნეილონი; 23. დერვიში.

# პიტსბურგში მუშახელით მოვაჭრეებს ასამართლებენ

აშშ-ის ქალაქ პიტსბურგში, დასავლეთ პენსილვანიის ოლქის ფედერალურ სასამართლოში მთავრდება ყოფილი საბჭოთა კავშირიდან აშშ-ში გადასული ემიგრანტების ჯგუფის სასამართლო პროცესი, რომლებსაც უცხოელების დაფარვისა და გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრალდებები ჰქონდათ წაყენებული.

უცხოელების სახით ამ პროცესში ფიგურირებენ რუსეთის, უკრაინის, ლიტვის, ესტონეთის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მოქალაქეები, ძირითადად ქალები, რომლებსაც პენსილვანიასა და ოჰაიოს შტატებში სასტუმროებსა და რესტორნებში მოახლეებად და დამლაგებლებლად ამუშავებდნენ.

დამქირავებლები მათ რამდენიმე კომპანიის საშუალებით ქირაობდნენ და პროცესის დროს სწორედ ამ კომპანიების მფლობელებს ასამართლებდნენ.

გამოძიება 2002 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც პოლიციამ გააჩერა ავტომობილი, რომელსაც ერთ-ერთი უცხოელი დაქირავებული მუშაკი მართავდა. მან ხელისუფლებს იმ კომპანიის სახელწოდება უთხრა, რომელმაც იგი სამუშაოზე მოაწყო.

გამოძიების შემდეგ ბრალდებულები 2008 წელს დააპატიმრეს. ბრუკლინში აიყვანეს 51 წლის იაროსლავ როჩნიაკი, 62 წლის გრიგორი კუჩერი, ოჰაიოში კუჩერის 38 წლის შვილი რომანი. მაიამიში დააკავეს 44 წლის ალექსანდრ ლიტი, ხოლო ნიუ იორკში, სტეიტენ აილენდზე მისი 63 წლის ბიძა რომან ლიტი. ფლორიდაში დელრეი ბიჩზე დააკავეს 70 წლის იაკობ შახანოვი.

სასტუმროები და რესტორნები, რომლებიც დაკავებულთა კომპანიების მომსახურებით სარგებლობდნენ, დიდი სიამოვნებით ქირაობდნენ იაფ მუშახელს. ისინი დაქირავებულებს საათში 10 დოლარს უხდიდნენ, ამ თანხიდან კომპანიები შუამავლობისათვის 3.5 დოლარს იტოვებდნენ. დამქირავებლები დროებით მუშაკებს სამედიცინო ან რაიმე სხვა სახის დაზღვევით არ უზრუნველყოფდნენ.

ემიგრანტებისათვის დაზღვევას არც მათი შრომითი მოწყობის კომპანიები ყიდულობდნენ. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათ დღეღამეში 20 საათი მუშაობა უწევდათ, არც ზეგანაკვეთით გათვალისწინებულ თანხას უხდიდნენ. გარდა ამისა, ზოგჯერ ემიგრანტებს, რომ არ გაქცეულიყვნენ, პასპორტებსაც ართმევდნენ.

დაქირავებულ მუშაკებს ასახლებდნენ ბინებში, რომლებიც თვეში 500-600 დოლარი ღირდა, თითოეულისაგან 150 დოლარს იღებდნენ, ერთ ბინაში 4-8 ადამიანს ასახლებდნენ და საშუამავლო კომპანიები აქაც ხელს ითბობდნენ. გარდა ამისა, იმიგრანტებს სამსახურისაკენ და შინ სატრანსპორტო მომსახურებისთვისაც ართმევდნენ ფულს.

პროკურატურის მონაცემებით, ბრალდებულები ამ ბიზნესს 1998 წლიდან მისდევდნენ და საერთო ჯამში კომპანიების შემოსავალმა 7 მილიონ დოლარს მიაღწია. ხელისუფლების განცხადებით, ბრალდებულებმა სახელმწიფოს გადასახადების სახით ერთნახევარი მილიონი დოლარი დააკლეს.

ბრალდებულების ადვოკატებმა პროკურატურას მათი კლიენტების შერჩევით დევნის ბრალდებები წაუყენეს, რადგან გამოძიების ფარგლებში არც უცხოელებისათვის და არც მათი დამქირავებელი კომპანიის წარმომადგენლებისათვის ბრალდებები არ წაუყენებიათ. ამასთან მრავალი უცხოელი აშშ-ში არალეგალურად მუშაობდა. გამოძიების თანახმად, მათი უმეტესობა აშშ-ი ლეგალურად შევიდა, მაგრამ ქვეყანაში სავიზო რეჟიმის დარღვევით იმყოფებოდა.



ამ ჯგუფურ საქმეს რამდენიმე ინდივიდუალური საქმე მოჰყვა. ოჰაიოში დააპატიმრეს ყოფილი ლენინგრადელი მარია ტერეშინა, რომელიც აშშ-ში საცხოვრებლად 28 წლის ასაკში გადავიდა. ზემოთ მოხსენიებულმა ლიტებმა იგი კომპანიის მენეჯერად მიიწვიეს.

მანამდე კოლუმბუსში დააკავეს ოლეგ მენდიუკი, რომელიც ლვოვში 1960 წელს დაიბადა და აშშ-ში საცხოვრებლად მშობლებთან და დასთან ერთად 1979 წელს გადავიდა. იგი კოლუმბუსში ცხოვრობდა და იქვე გახსნა კომპანია „მიდუესთ ქლინინგ სერვისი“, რომელიც „ქეი მართის“ უნივერმაღებს და ადგილობრივ სასტუმროებს დამლაგებლებს აწვდიდა.

ოჰაიოს სამხრეთ ოლქის ფედერალურმა სასამართლომ მას „აშშ-ის ფარლგებში არალეგალური იმიგრანტების ტრანსპორტირების“ და გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრალდებები წაუყენა.

მენდიუკმა თავიდანვე ცნო თავი დამნაშავედ და ამის წყალობით სამი წლით თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად პროკურატურამ სასამართლოს მისთვის მხოლოდ 20 თვით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

მისმა ადვოკატმა მოსამართლეს მენდიუკის ხანდაზმული მშობლების ავადმყოფობის მიზეზით სასჯელის 12 თვემდე შემცირება სთხოვა.

სასამართლომ მას 2007 წლის სექტემბერში წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 211916 დოლარი კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

47 წლის ტერეშინა სასამართლოსთან ასევე აქტიურად თანამშრომლობდა, მას 12 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

2008 წლის მიწურულს დაპატიმრებულმა დანარჩენმა ექვსმა იმიგრანტმა ასევე დამნაშავედ ცნო თავი. გრიგორი კუჩერას, რომელმაც ქალაქ ცინცინატიში კომპანია „არრა“, რომელიც სასტუმროებსა და რესტორნებს დამლაგებლებს, მოახლეებსა და ეკონომ ქალებს ჯერ კიდევ 1998 წლიდან აწვდიდა, 51 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ერთი თვის შემდეგ თავი დამნაშავედ მისმა შვილმაც ცნო და მას 33 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გარდა ამისა, იგი ხელისუფლებს მის საბანკო ანგარიშებზე არსებული 15 ათასი დოლარის გადაცემას დათანხმდა.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე გელა ნონიაშვილი, შვილები ოთიკო, გეგი, ძმა ზურაბ შაქარაშვილი, რძალი მაია ქრისტესიაშვილი, ძმისშვილები გიორგი, ლაშა, მული მარინა ნონიაშვილი, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**მაია გიორგის ასულ შაქარაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას.

პანაშვიდი: 15, 16 მარტს, 16 საათზე.

დაკრძალვა: 17 მარტს, 15 საათზე.

მისამართი: წყნეთის №13.

---

თამაზ ნინიკაშვილის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უძვირფასესი და უკეთილშობილესი ადამიანის, ექიმის

**მაია შაქარაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული და დაამკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

---

ტარიელ კვიციანი, გელა ყიფიანი და თამაზ გარდაფხაძე ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მრავალი სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის ავტორის, გამოჩენილი მათემატიკოსის, შესანიშნავი მოქალაქისა და უფროსი მეგობრის, პროფესორ

**სერგო თოფურიას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

## ოთარ დვალის მონატრება



წუთიერად არა, წამიერად გასრულდა შენს ოჯახთან განშორების ორი წელი. მიკვირს, ჩვენ როგორ ვძლებთ, შენ კი ალბათ ბედნიერებისაგან და მონატრებისაგან ისე ხარ გათანგული, რომ ჯერაც არ ფიქრობ ჩვენზე. შეხვდი ჩემი და შენი ამქვეყნიური ჯოჯოხეთის მომვლინებელ ჩვენს შვილს — ახლა, ალბათ, დავაჟკაცებულს. ღმერთმა ნათელში გამყოფოთ. რამდენსაც თქვენზე ვლოცულობთ, ყველა წამოგეწიოთ და ნეტარ ქვეყანაში გამყოფოთ.

*ოჯახი*

---

ლეიბორისტული პარტია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პარტიის წევრის, როსტომ ცხვედიანის მამის

**მურად ცხვედიანის**

გარდაცვალების გამო.

პარტია სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

## ნიკა ზაქარაია, უტა გობეჩია



ხუთი ტკივილიანი წელი გაილია უთქვენოდ, ბიჭებო.

ჯერაც დაუჯერებელ ტკივილსა და მონატრებას გვიცნობიერებს იმის შეგრძნება, რომ იქ, იმ საუფლოში დიდ სინათლეში იქნებით უთუოდ.

ვაგლახ, როგორ დააკლდით ყველას — ოჯახს, ახლობლებს, ტოლ-სწორებს, მეგობრებს და, რა თქმა უნდა, თქვენს უსაყვარლეს ქვეყანას. ოდენ ვაჟკაცები, ოდენ საჯიშენი, თხემით ტერფამდე პატრიოტები.

სხვა რა ამოვთქვათ — უსაშველოდ გვაკლიხართ, გვახსოვხართ, გვიყვარხართ და თავის დროზე იქ შეხვედრამდე.

*ახლობლები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რიგაში ესესის ლეგიონერების მსვლელობა გაიმართა

ლატვიის დედაქალაქ რიგაში კვლავ გაიმართა ჰიტლერის არმიის ლატვიური ლეგიონის ვეტერანების ტრადიციული აღლუმი.

ხელისუფლების შეფასებით, რიგის ცენ-



ტრში გამართულ მსვლელობაში 2500-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ლიტვის პარლამენტის წევრებიც იყვნენ. მსვლელობის მონაწილეებმა თაიგულებით შეამკეს თავისუფლების ძეგლი, სადაც მათ ლეგიონერების მარშის ასობით მოწინააღმდეგე დახვდათ. მრავალი მათგანი საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრების სამოსში იყო გამოწყობილი.

მსვლელობის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შეტაკების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლებმა წესრიგის დამცველი პოლიციელების რიცხვი გაზარდეს.

სამშაბათს რიგის სასამართლომ გააუქმა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება ლეგიონერთა მარშის აკრძალვის შესახებ. სასამართლო სხდომაზე ქალაქის ხელისუფლებმა აღიარეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მსვლელობის ნებართვის გაცემის შემთხვევაში უფრო ადვილი იქნებოდა.

რიგის ხელისუფლებმა 16 მარტისათვის დაგეგმილი მსვლელობა აკრძალეს, მაგრამ მსვლელობის ორგანიზატორებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „დაუგავას ვანაგი ლატვიას“ („დაუგავას შევარდნები“) წარმომადგენლებმა სასამართლოს მიმართეს.

ტრადიციულად „ვაფენის ესესის“ ლატვიური ქვეგანყოფილების ვეტერანების მსვლელობა რიგაში ყოველწლიურად იმართება. ხშირად იგი ულტრამემარჯვენეებისა და ანტიფაშისტებისა და მემარცხენე ოპოზიციის წარმომადგენლების შეტაკებაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლინდა მურნიეცემ განაცხადა, რომ მსვლელობის დროს რიგაში იმდენი პოლიციელი იმორიგევებდა, რომ პროვოკაციების ორგანიზება ფიზიკურად შეუძლებელი გახდებოდა.

აქცია რიგის ტაძარში გამართული მღვდელმსახურებით დაიწყო და თავისუფლების ძეგლისაკენ ესესის ლეგიონერების მსვლელობით დასრულდა.

იმავე დღეს ლატვიის დედაქალაქის ცენტრში ლატვიის ანტიფაშისტური კომიტეტის აქტივისტებმა მოიყარეს თავი.

მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერული გერმანიის მხარეზე მეომარი ყოფილი ლეგიონერების მსვლელობები ლატვიაში 1994 წლიდან რეგულარულად იმართება. ლატვიის საზოგადოებაში დღემდე არ წყდება კამათი, თუ ვინ არიან ეს ლეგიონერები, ფაშისტების მხარდამჭერები თუ ლატვიის დამოუკიდებლობის დამცველები.

ზოგიერთი ლატვიელი მათ გმირებად მიიჩნევს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მიერ მათი ქვეყნის ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

მსვლელობის დღედ 16 მარტი იმიტომ შეარჩიეს, რომ ლატვიაში ფორმირებული კორპუსი საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში ლენინგრადის ფრონტზე სწორედ ამ დღეს ჩაერთო.

1994-დან 2001 წლამდე ეს თარიღი სახელმწიფო დონეზე აღინიშნებოდა, მაგრამ 2001 წელს ლატვიის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით 16 მარტი ოფიციალური დღესასწაულების სიიდან ამოიღეს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 17 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ნოსტრადამუსი: **2012** წელი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. "**ფარი**" (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი "**სარკეს ორი მხარე აქვს**" (12) **04.35** მხ. ფილმი "**ნაციონალური უსაფრთხოება**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "**7** მომაკვდინებელი ცოდვა" **20.00** მხ. ფილმი "**ყველა წესის დარღვევით**" **01.00** მხ. ფ. "**მეკაბელე**" (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ნიჭიერი (გან.) **16.00** სერ. "**სიყვარულის საიდუმლო**" **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ. "**ელენას მორჩენება**" **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ.ფ."**გადარჩენა მგლებთან ერთად**" (18) (მ. ბერნიე) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ."**ორნახევარი კაცი**" **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."სიყვარულის ზღვა" 12.25 ტვ-მარკეტი 12.35 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სერ. "შუა ქალაქში" 00.00 მხ.ფ."სხეულის გამტაცებლები"** (ბ. ** უორთი**) (**სუბტ.**) **01.50 მხ. ფილმი "შეუპოვარი"** (12) (ჰ. **ფორდი**) (**სუბტ.**) **04.00 მხ. ფილმი "ჩვევად ქცეული ქორწინება"** (**კ. ბესინგერი**) (**სუბტ.**) **06.30 სერ. "ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. "**ადვოკატი**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50** სერ. "**უკანასკნელი საჯარიმო**" **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ."**ეპოქის ვარსკვლავი**" **19.30** სერ. "**მაფია**" **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** გადაცემა "კარაბადინი" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" **1**-ლი ს. **13.10** კონცერტი – ანს. "მთიები" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი "**შეწყვეტილი სიმღერა**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** მოკლ. ფილმი "**წყარო გზის პირსა**" **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** ჯვარსახოვანი გზა, გად. მე-**2** **19.40** მხ. ფილმი "**თუში მეცხვარე**" მე-**2**ს. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფილმი "სიმებიანი კვარტეტი "თბილისი" **23.00** სალამოს ლოცვა **23.30** დიდმარხვის მეორე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ლარის მიმართ უცხოური ვალუტის კურსი
17 მარტი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,7032 |
| ევრო | 2,3801 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7439 |
| რუსული რუბლი | 0,0591 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 16-21, ღამით — 8-19

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 18-22, ღამით — 12-15

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 7-18, ღამით — -3-7

## ამინდის პროგნოზი 17 მარტისთვის







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


# ფინეთში ქართველი ფეხბურთელი დააკავეს

**ფინეთში საფეხბურთო სკანდალია და იქაურმა პოლიციამ 6 უცხოელი ფეხბურთელი დააკავა და მათ შორის ოთხი — „როვანიემიდან". დაკავებულთა შორის არის 23 წლის ქართველი ნახევარმცველი პავლე ხორგუაშვილიც. დაკავების მიზეზი კი გარიგებულ თამაშებში მონაწილეობაა.**



„როვანიემში" პავლეს გარდა, მისი ტყუპისცალი ვალტერ ხორგუაშვილიც თამაშობს, თუმცა, მას არავინ შეხებია. ცნობისთვის, ეს კლუბი შარშან მეორე ლიგაში იყო, პირველ ადგილზე გავიდა და წლეულს ვეიკაუსლიგაში (უმაღლესი) გამოდის.აღსანიშნავია, რომ მანამდე ფინეთში მალაიზიის მოქალაქე დააკავეს, რომელსაც სამშობლოში ბრალს სდებდნენ გარიგებული მატჩების ორგანიზებაში. და ამას მოჰყვა 6 ფეხბურთელის დაკავება.

„როვანიემის" ვებგვერდზე, გუნდის მთავარი მწვრთნელის, ინგლისელი ჯონ ალენის სიტყვებია მოყვანილი:

— ჩვენ ვაგრძელებთ მზადებას, თუმცა, სიტუაცია რთულია. შაბათს „ვაასას"□ ვხვდებით და ოთხი ფეხბურთელის გამოკლება ჩვენთვის დიდი დანაკლისია. პოლიციას ჩემთვის არაფერი უთქვამს. მოკლედ, ისე უნდა გავაგრძელოთ მუშაობა, ვითომ არაფერი მომხდარა, — აცხადებს ალენი.

კლუბის გენერალური დირექტორი იუკო კიისტალაც მნიშვნელოვანს ვერაფერს ამბობს, თუმცა, როგორც გაირკვა, ხორგუაშვილისა და კიდევ ხუთი ფეხბურთელის საკითხი პარასკევს განიხილება.

აღსანიშნავია, რომ „როვანიემისთვის" ასეთი ამბავი პირველი არაა — შარშან, გუნდის ზამბიელი ფეხბურთელი კრისტოფერ მუსონდა, ამავე ბრალდებით დააკავეს.

მ. ჟ.

## ასტროპროგნოზი
17 მარტისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — მშვენიერი დღეა, შვებით ამოისუნთქავთ. **კურო** — შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, აღარ დაგელოდებიან. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — გზიდან ფულს მიიღებთ და ახალ ამბავსაც გაიგებთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **ქალწული** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყურადღების ცენტრში ხართ. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის მშვიდად იყავით. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, მთავარია არ მოდუნდეთ. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა მოგიწევთ, ფორმაში უნდა იყოთ. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ მიიღოთ მძიმე საკვები. **მერწყული** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, საღამო მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **თევზები** — სამსახურში სიახლეა, დაწინაურება გელით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 21 მარტიდან

100 წიგნი

„ახალი თაობა" და „საოჯახო ბიბლიოთეკა"

გთავაზობთ

სუპერპროექტს

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 1

განდი




გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი


## იუმორი



ზაფხული. ცხელა. ტიპი მეზობელს შეხვდა და ეკითხება:

— თქვენს სახლთანაც გააკრეს განცხადება, წყალი დაზოგეთო?

— დიახ და მე უკვე ვზოგავ კიდეც.

— ეგ როგორ?

— მეზობლის ქალთან ერთად ვიღებ შხაპს...

***

— ხალხით გადავსებულ ტრამვაიში ახალგაზრდა წყვილი ზის, გვერდით ხანდაზმული ქალი დგას და საკმაოდ მეტყველი თვალებით უყურებს მათ. ახალგაზრდამ ველარ მოითმინა, ქალისკენ გადაიხარა და ყურში ჩასჩურჩულა.

— ორსულადაა!

ხანდაზმული ქალი მეტყველი თვალებით ახლა მხოლოდ ვაჟს უყურებს. ახალგაზრდამ ვერ მოითმინა, და კვლავ ხანდაზმული ქალისაკენ გადაიხარა:

— ჩემგანაა ორსულად.

***

— პასუხისმგებლობა იგივე შოკოლადია, სხვებსაც უნდა გაუნაწილო...

გ. თ.

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. გაწყალებული ღვინო; 2. ჩამქრალი ვულკანი ჯავახეთის ქედზე; 3. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება; 5. მსჯელობისა და დასკვნათა თანამიმდევრობა; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მესხეთში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი, აკადემიკოსი; 18. ბრიტანული ლუდხანა.

**თარაზულად:** 1. საქსოვი მანქანის გამომგონებელი ფრანგი მექანიკოსი; 4. ლიტვის დედაქალაქი; 7. პოპულარული ქართული სიმღერა; 8. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო, პროფილაქტიკური სამედიცინო პრეპარატი; 12. აღმოსავლური ტკბილეული; 13. დაზვერვის საიდუმლო თანამშრომელი; 15. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 15. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 17. ელექტრობის წინაღობის საზომი ერთეული; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ხურდა ფულის, მონეტების დასამზადებლად გამოყენებული დაბალი ხარისხის ვერცხლი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი